

წალიწადი
პირველი

მოამბე

შაბათი, ივნისის 11.

1921 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 9

ე გ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ი ო რ გ ა ნ ო .

№ 9

რედაქციის მიხამართი:

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგელის ქ. № 1.
(ფაფ—კადეტთა კაზნუსის შენობა) ტელეფონი № 6-90.

სარედაქციო საქმეებზედ მოლაპარაკება შეიძლება ელ-
ფელ დღე—სადამოს 5-დან 7 საათამდე.

რ ე დ ა ქ ც ი ს ა გ ა ნ

„მოამბე“-ში გხვნილია პითხვა-პასუხის განყოფილება იმ საპითხავის შე-
სახებ, რომლებიც აინსტარებენ რევკომებსა და სხვა ორგანიზაციებს. მი-
ღებულ შეპითხვებზე რადაქცია დაუყოვნებლივ გასცემს პასუხს.

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი ბ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ზ ა

დეკრეტი № 39

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა

პროზოროვსკის ყვავილის ასაქრელი დეტრიტის
დამშაადებელი ინსტიტუტის ნაციონალიზაციის
შესახებ.

საქართველოს მშრომელი ხალხის ფართო მას-
სისა და წითელ არმიელების ყვავილის ასაქრელი
დეტრიტით უზრუნველყოფის მიზნით, რევოლუ-
ციონური კომიტეტი ადგენს:

1. ქ. ტფილისში არსებული (ტატიანის ქ.
№ 10) ყვავილის ასაქრელი დეტრიტის დამშაადე-
ბელი ინსტიტუტი, რომელიც ეკუთვნის პროზო-
როვსკისას, მთელი მოწყობილობით, ლაბორატო-
რიითა და ინვენტარით გამოცხადებულ იქნეს სა-
ქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის
საკუთრებად.

2. ამა დეტრეტის პირველ (1) მუხლში აღნი-
შნული ყვავილის ასაქრელი დეტრიტის დამშაადე-

ბელი ინსტიტუტი გადაიყვანოს ჯანმრთელობის სახალ-
ხო კომისარიატის გამგებლობაში,
3. დეტრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი
გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდ. მოადგილე კვირკელია.

ჯანმრთელობის სახალხო
კომისარი კუჭაიძე.
რევკომის მდივანი
შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 3.
ტფილისი.—სასახლე.

დეკრეტი № 40

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა.

მასწავლებელთა და მოწაფეთა სამხედრო ბეგა
რისაგან განთავისუფლების შესახებ.

1921 წ. აპრილის 29 ს დეტრეტი № 31-ს მუ-
ხლი 4-ს დამატებად, საქართველოს ს. ს. რ. რე-
ვოლუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:



1. სახელმწიფოს ყველა სასწავლებლების მასწავლებელი თავისუფალნი არიან სამხედრო ბეგარისაგან.

2. სახელმწიფოს ყველა საშუალო და დაბალი სასწავლებლების მოწაფენი, სათანადო მოწმობების წარდგენის შემდეგ, დროებით განთავისუფლებულ იქნებიან, რომ მათ სასწავლებლის კურსი დაამთავრონ, ვიდრე 21 წლისა გახდებიან.

3. უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლენი, რომელნიც ლექციებს ნამდვილად ისმენენ და სათანადო მოწმობები აქვთ, დროებით განთავისუფლებულ იქნებიან, რომ მათ სასწავლებლის კურსი დაამთავრონ, ვიდრე 26 წლისა გახდებიან.

4. მეორე და მესამე მუხლში აღნიშნული წლოვანობის შესრულების შემდეგ, მოწაფენი ვალდებული არიან გამოცხადდნენ სათანადო სამხედრო კომისარიატებში სამსახურში ჩასარიცხად.

შენიშვნა: უკეთუ მოწაფენი მეორე და მესამე მუხლებში აღნიშნული წლოვანობისა შეიქმნენ და მორიგი გაწვევა ჯარში კი არ გამოცხადებულა, მათ შევებულება მიეცემათ უახლოესი ჯარში გაწვევის პირველ დღემდე.

5. მოწაფენი, რომელნიც ჯარში იქნენ დატოვებული სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარის 1921 წ. მარტის 21-ს № 2-ი ს ბრძანების თანახმად, სამსახურში რჩებიან ვიდრე უახლოესი ჯარში გაწვევა მოხდება, რომლის შემდეგაც ისინი დათხოვნილ უნდა იქნენ ამ დეკრეტში ნაჩვენები წესის მიხედვით.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი შ. ვლიადა.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 6.

ქ. ტფილისი, —სასახლე.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 53.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტი № 31-ს მუხლი 6-ს განვითარებისათვის, ყველა იმ შუამდგომლობათა განსახილველად, რომელიც კი ეხება როგორც ცალკე პირების, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების ჯარში გაწვევისაგან დროებით განთავისუფლებას, არსდება:

ა) დროებით განმანთავისუფლებელი ცენტრალური კომისია—სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატთან;

ბ) დროებითი განმანთავისუფლებელი კომისიები—ადგილობრივ რევკომებთან.

2. ცენტრალურ კომისიაში შედიან: თავმჯდომარე, რომელსაც სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი ნიშნავს და თითო წარმომადგენელი: ა) საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა, ბ) სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატის შტაბისა, გ) საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი და დ) პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭოსი.

შენიშვნა: სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეების ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების საკითხის გარჩევის დროს, კომისიის სხდომას ესწრება დაინტერესებული წარმომების ან დაწესებულების წარმომადგენელი, ვადამწყვეტი ხმის უფლებით.

3. ჯარში გაწვევისაგან დროებით განმთავისუფლებულ სამაზრო კომისიაში თავმჯდომარეობს სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო წევრებად არიან წარმომადგენელი: ა) სამხედრო და საზღვაო საქმეთა სამაზრო კომისარიატისა და ბ) ადგილობრივი პროფესიონალური კავშირების საბჭოსი.

4. ჯარში გაწვევისაგან დროებით განმანთავისუფლებულ ცენტრალურ კომისიას ევალება:

ა) განხილვა და ვადამწყვეტა ჯარში გაწვევისაგან დროებით განთავისუფლების საერთო პრინციპობალური საკითხებისა.

ბ) მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიებათ დაყოფა, რომელნიც უნდა განთავისუფლებულ იქნენ ჯარში გაწვევისაგან ყველა ერთად ან ნაწილობრივ.

გ) მრწველობისა და ცალკე წარმოებათა დარგების განსაზღვრა, რომელთა მუშეებიც უნდა განთავისუფლებულ იქნენ ყველა ერთად.

დ) სამაზრო კომისიისათვის სახელმძღვანელო ცნობების მიწოდება ჯარში გაწვევისაგან დროებით განთავისუფლების წესების შესახებ, აგრეთვე განსაზღვრა იმ დროისა და წესისა, რომელთა მიხედვითაც შეიძლება აღნიშნული კომისიების დადგენილებათა განსაზღვრება.

ე) განხილვა საჩივრებისა სამაზრო კომისიების დადგენილებათა შესახებ.

ვ) იმ შუამდგომლობათა განხილვა, რომლებიც ეხება სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ცენტრალურ დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეების, აგრეთვე აგრონომების, ინჟინრების, ტენიკოსების, ფლოტის მუშების, ყოფილ ოფიცრების, სამხედრო მოხელეების, სამხედრო დროის მოხელეების და იმ პირების, რომელნიც მსახურებდნენ ძველ არმიასა და საინჟინერო ჯარში და ფლოტში მექანიკოსებად, მემანქანებად, სიგნალის მაჩვენებლად და რკინის გზის და ტენიკური ჯარის მოსამსახურეების სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებას.



5. ცენტრალური კომისიის დადგენილებანი არის საბოლოო და სავალდებულო შესრულებისათვის და შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მიერ.

6. სამაზრო კომისიის საქმის წარმოება ხდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა ადგილობრივ სამაზრო კომისარიატების კანცელარიაში.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი შ. ელიავა.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. მაისის 28. ტფილისი.—სასახლე.

ბრძანება № 54

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლ. კომიტეტის თავმჯდომარისა.

ვინაიდან სამსახურის საქმეების გამო მე ბაქოში მივდივარ, ჩემს მოადგილეთ დროებით ვნიშნავ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. კვიციანიას, რომელსაც წინადადებას ვაძლევ დღესვე შეუდგეს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის აღსრულებას.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ., მაისის 31. ტფილისი.—სასახლე.

ბრძანება № 57

საქართველოს რევოლ. კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით, მთავრობის საქმეთა მმართველი ამხ. ბიბინიეშვილი (ბარონი) განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ., ივნისის 10 ტფილისი.—სასახლე

ბრძანება № 58

საქართველოს რევოლ. კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა ა. წ. ივნისის 9-ს დადგენილებით, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველად დანიშნულია ამხ. ილია წიგწივაძე.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ., ივნისი 10. ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 21

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა.

ა მ ნ ი ს ტ ი ი ს უ მ ს ა ხ მ ბ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების სამი წლის თავზე, ვინაიდან საქართველოს ხალხი მხოლოდ ეხლა განთავისუფლდა ევროპის კაპიტალისტების დამქაშებისა და საერთაშორისო და რუსეთის კონტრრევოლიუციის ხელის შემწყობთაგან, მშრომელი ხალხისათვის ამ სასიხარულო და მუშათა და გლეხთა საქართველოს ნამდვილად განთავისუფლების დღეს, რევოლიუციონური კომიტეტი შესაძლოა სცნობს შემსუბუქებულ იქნეს სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დასჯილთა მდგომარეობა, როგორც გამოძიებაში მიცემულთა, აგრეთვე დაპატიმრებულებისა, თუ დაპატიმრება არ არის გამოწვეული აუცილებელი საჭიროებით.

ამიტომ საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. გამოცხადებულ იქნეს ფართო ამნისტია ყველა იმ პირთა შესახებ, რომელთაც დანაშაული აქვთ ჩადენილი 1921 წლ. მაისის 26-დღე, შემდეგი წესით:

ა) სრულიად განთავისუფლება ყოველგვარი სასჯელისაგან, რომელიც არ იწვევს დაპატიმრებას სასამართლოსი და ადმინისტრაციული ორგანოების დადგენილებით;

ბ) ვადის შესრულებამდე განთავისუფლება საპატიმროებიდან და მათი იძულებითი სამუშაოზე გადაყვანა ან განთავისუფლება უამისოდ;

გ) სასჯელის ვადის შემოკლება;

2. ამნისტია გავრცელებული იქნეს როგორც იმ პირებზე, რომელთაც უკვე გადაწყვეტილი აქვთ სასჯელი, აგრეთვე იმ პირებზედაც, რომელნიც გამოძიების ქვეშ იმყოფებიან.

3. დავალოთ უმაღლესი ხარისხის სასჯელის დამდგენ დაწესებულებათ, უკეთუ განაჩენი აღსრუ-



ლებაში არ მოუყვანიათ, 1921 წლ. მაისის 26-დღე, გადასინჯონ ყველა საქმე ამ განაჩენების შესაგებ სასჯელის შემძლებუქების შესაძლებლობის გამო-სარკვევად.

4. შემსუბუქებულ იქნეს სასჯელი დადებუ-ლი დეზერტირობისათვის და დეზერტირობის ხელ-შეწყობისათვის, სასჯელისაგან სრულიად განთავი-სუფლებამდე.

5. განთავისუფლებულ იქნეს სასჯელისაგან ყოველი დეზერტირი, რომელიც 1921 წლ. ივ-ნისის 10-დღე ნებაყოფლობით გამოცხადდება ხე-ლისუფალთა განკარგულებაში.

6. ამნისტია ესე გავრცელებულ იქნეს მე-XI არმიის სამხედრო მოსამსახურეებზე, ვისაც დანა-შაული საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საზღ-ვრებში ჩაუდგნია.

7. მიენდოს იუსტიციის სახალხო კომისარს შეიმუშაოს დაწვრილებითი ინსტრუქცია ამ დადგე-ნილების აღსასრულებად და მასვე დაევალოს ზედამხედველობა მისი სისწორით განხორციელე-ბისათვის.

8. დადგენილება ესე აღსრულებულ იქნეს ტელეგრაფის საშუალებით.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

იუსტიციის სახ. კომისარი
ნაზარეტაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ., მაისის 26-ს. ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 23

საქათვ. ს. ს. რ. რევოლიუც. კომიტეტისა
სამედიცინო და ფარმაცევტული ქონების რეკვიზიციის
და კონფისკაციის შესახებ

1. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა იმ ქონებისა და საგნების რეკვი-ზიციისა, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარ-მოადგენს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მოთ-ხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

2. ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ქო-ნებად და საგნებად ითვლება:

ა) სანიტარულ-ტეხნიკურ და სანიტარულ-ჰიგი-ენიური საგნები, ბაკტერიოლოგიური მოწყობი-ლობანი, სადგენინფექციო საშუალებანი და აპარა-ტები;

ბ) სამკურნალო დაწესებულებათა და დიაგ-ნოსტიური ლაბორატორიების სამედიცინო და სამეურნეო მოწყობილობა;

გ) საფთვობა მოწყობილობის საგნები, ფარ-მაცევტული აპარატები და შესახვევი მასალები;

დ) საექიმო ინსტრუმენტები (ქარურგიული), კბილის სამკურნალო და კბილის ტეხნიკური ინს-

ტრუმენტები, რენტგენისა და ელექტრონით სემ-კურნალო აპარატები, მათი ხელსაწყოები და ავადმყოფის მოვლისათვის საჭირო სხვა საგნები-

შენიშვნა: 1. რეკვიზიციისა და კონ-ფისკაციისაგან თავისუფალია ის საგნები და ქონება, რომელიც, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ ნორმების მიხედვით, საჭირო არის სამედიცინო პერ-სონალის პროფესიონალური მოქმედებისათვის.

2. კერძო სამკურნალო დაწესებულებათა, ლაბორატორიებისა და სხვ. ქონება, უკეთუ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ მათი მოქმედება მიჩნეულ იქნება სახალხო ჯანმრთელობის სასარგებლოდ, თავისუფალია კონფისკაციისა და რეკვიზიციისაგან, ხოლო რაოდენობას ამ ქონებისას ყოველ ცალკე შემთხვევაში არკვევს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

3. რეკვიზიციისა და კონფისკაციის უფლება, ამ დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ენი-ჭება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კო-ლეგიას, რომელიც ანხორციელებს მას დამოუკი-დებლად ან თავისი ადგილობრივი ორგანოების საშუალებით, ჯანმრთელობის სახალხო კომისარია-ტის მიერ გამოცემულ წესდების თანახმად.

4. რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესს და აგრეთვე რეკვიზიციით ჩამორთმეული ქონების შეფასებასა და ანაზღაურებას აწარმოებს ჯანმრთე-ლობის სახალხო კომისარიატი.

შენიშვნა: ამ დადგენილების პირველი და მეორე მუხლი ვრცელდება აგრეთვე სამ-ხედრო სამსახურში გაწვეული პირების ქონე-ბაზედაც.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ჯანმრთელობის სახალხო
კომისარი კუჭაიძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 4.
ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 24.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა.

ქადაგდის ადრინცხვისა და განაწილების მთავარი სამ-მართკედის დაარსების შესახებ.

1, იმ მიზნით, რომ აღრიცხულ და სწორეთ განაწილებულ იქნეს სახელმწიფოს დაწესებულება-თა და ორგანიზაციათა შორის ვაზეთისა და წიგ-ნის ქალაღდი, რომელიც კი რესპუბლიკაში მოი-პოება, დაარსდეს ქალაღდის საადრიცხვო და გან-მანაწილებელი მთავარი სამმართველო.



2. ვაზეთისა და წიგნის ქალაქის სალ-
რიცხო და განმანაწილებელ მთავარ სამმართვე-
ლოს ხელმძღვანელად დაინიშნოს ანს. ს. თოდრაია.

3. სახელმწიფოს ყველა დაწესებულებათ და
ორგანიზაციათ წინადადება ეძლევათ დაუყოვნე-
ბლივ ჩააბარონ ზემოხსენებულ ქალაქის სალ-
რიცხო და განმანაწილებელ მთავარ სამმართვე-
ლოს მთელი რაოდენობა როგორც ვაზეთის, ისე
წიგნის ქალაქისა, რომელიც კი მათ განკარგუ-
ლებაში არის.

4. ამ დადგენილებების დამრღვევნი მიეკრიბიან
სასტიკ პასუხისმგებაში რევოლუციონური დროის
კანონების თანახმად.

საქ. ს. ს. რ. რ. კომიტეტის
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 4-ს. ტფილისი.—სახალხო.

დადგენილება № 25

სამართვ. ს. ს. რ. რ. კომიტეტისა.

(დებულება საქართველოს სახალხო განათლე-
ბის კომისარიატის შესახებ).

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა
რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატის
მთელი მუშაობას ხელმძღვანელობს განათლების სა-
ხალხო კომისარი, რომელსაც ყოველგვარ აქვს პირა-
დი შეხიდიულობით დათასწავიბოს ყოველი კითხვა,
რომელიც შეეხება მისდამი რწმუნებულ კომისა-
რიატს, რასაც შეეძლება აცნობებს განათლების კო-
მიტეტს. თუ ყოველი არ დაითანხმა განათლების
სახალხო კომისარის მიერ მიღებულ ამ თუ იმ და-
დასწავიბიობას, იმ შემთხვევაში, საქმის სისრულე-
ში მოყვანის შეუძლებლობად, კომიტეტს შეიძო-
ლია დასაჩივროს ის სათანადო უსაღეს ორგა-
ნიზაში.

შენიშვნა: ასეთივე თვლიება გასაჩივრე-
ბისა აქვს კომიტეტის თვითველ წევრს.

2. სახალხო კომისარს ჰყავს თავისი მოად-
გილი.

3. სახალხო განათლების კომისართან მისივე
თავმჯდომარეობით სდგება კომიტეტი სამი წევრი-
საგან, ვარდა სახალხო კომისარის მოადგილისა. რომ-
მეოთხეც ამტკიცებს საქართველოს რევოლუციონ-
ური კომიტეტი.

სახალხო განათლების კომისარიატის კოლე-
გიის წევრნი განადგობენ: აკადემიურ ცენტრს, სა-
ორგანიზაციო ცენტრს, სპეციალური და პოლი-
ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს,
სკოლის გარეშე პოლიტექნიკური განათლების მთავარ
სამმართველოს და პროფესიონალურ-პოლიტექნი-
კური სკოლების და უმაღლეს სასწავლებელთა
მთავარ სამმართველოს.

შენიშვნა: ეს უკანასკნელი დროებით
შეთავსებულია აკადემიურ ცენტრის გამგის
ხელში.

4) სახალხო განათლების კომისარიატის ორგა-
ნიზაცია: აკადემიური ცენტრი, საორგანიზაციო
ცენტრი და ოთხი მთავარი მმართველობა:

ა) მთავარი მმართველობა სოციალური აღ-
ზრდისა და პოლიტექნიკური განათლებისა ბავშვ-
ების (15 წლამდე);

ბ) მთავარი მმართველობა პროფესიონალურ
პოლიტექნიკური სკოლებისა (15 წლამდე) და
უმოღეს სასწავლებელთა;

გ) მთავარი მმართველობა სკოლის გარეშე
განათლებისა, რომელიც განადგობს სკოლის გარეშე
განათლების ყველა დაგვიან. უმთავრესათ კი პო-
ლიტექნიკური განათლების ხასიათის მუშაობას მოზ-
რდელთა შორის;

დ) მთავარი მმართველობა სახელმწიფო გა-
მოცემლობისა შემდეგი ფუნქციებით: საგამომცემ-
ლო, განმანაწილებელი და გამავრცელებელი („ცენ-
ტრო-ბეჭდვა“).

სახელმწიფო გამოცემლობის კოლეგიის თავ-
მჯდომარე არის განათლების სახალხო კომისარი.

4 აკადემიური ცენტრი ანუ თეორიული
და პროგრამული ხელმძღვანელობის საერთო რენ-
ტრი იყოს ორ სექციით: 1) სამეცნიერო სექცი-
ით (სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო) სამი ქვისიქ-
ციით: ა) მეცნიერულ პოლიტექნიკური, ბ) მეცნიერ-
რეალური და გ) მეცნიერულ პოლიტექნიკური.
2) სამხატვრო სექციით (მთავარი სამხატვრო კო-
მიტეტი) ხუთი ქვისიქციით: ა) ლიტერატურული, ბ)
თეატრალური, გ) მუსიკალური, დ) გამოსახულებ-
ბათა ხელოვნების და ე) კინომატროგრაფიული.

შენიშვნა: აკადემიური ცენტრის შემად-
გენლობაში შედის აგრეთვე რესპუბლიკის არ-
ქივების მმართველობა და რესპუბლიკის მუ-
ზიუმის მმართველობა.

6. ორგანიზაციული ცენტრი, რომელსაც
ივალდება სახ. განათლების კომისარიატის ყველა
ორგანიზაციული და ადმინისტრაცი-
ული ხელმძღვანელობა, იყოს სამ წევლით: ა)
ადმინისტრაციული მმართველობა, რომლისა ივა-
ლებს: დაწესებულ და დაპროგრამირებულ პრაქ-
ტიკული განხორციელების კონტროლი, პირადი
შემადგენლობის აღრიცხვა, მთელი საქმეცხოვარი
აპარატების მოწყობა და განათლების კომისარია-
ტის თანამშრომელთა დანიშვნა განაწილება, ბ)
ორგანიზაციული მმართველობა, რომელიც განა-
გებს: საინსპექციო და საინსტრუქციო ყველა კით-
ხვებს, რომელიც შედის ორგანიზაციული ცენ-
ტრის კომპეტენციაში: ინფორმაცია, სტატისტიკა,
ყრილობები, გამოფენები და ბეჭდვითი ბიურო;
გ) მსახურობითი მმართველობა, რომელიც განა-
გებს: თინანსებს, საერთო და სპეციალურ მომ-
რავებს საბინაო-სააღმშენებლო საქმეს და საზღვარ-
გარეთ მისყიდვის ბიუროს.

7. მეოთხე მუხლში აღნიშნული 4 მთავარი
მმართველობიდან თითოეული იყოს: ა) საერთო

განყოფილებად, ბ) სპეციალურ განყოფილებად, გ) სამეცნიერო-სამხატვრო სექციად, სათანადო ქვესექციებით.

8. მეშვიდე მუხლში ნაჩვენებ თვითნებულ მთავარ-მმართველობის დადგენილებათა საერთო განყოფილება და სამეცნიერო-სამხატვრო სექცია მათი ქვესექციებით ორმაგად არიან დაქვემდებარებული, სახელდობრ, — ერთის მხრივ ორივე ეს ქვეგანყოფილებები ექვემდებარება სათანადო მთავარ-მმართველობის ხელმძღვანელს და, ასრულებს რა ამ უკანასკნელის დავალება-მინდობილობებს, პასუხისმგებელია მის წინაშე, მეორე მხრივ ისინი ექვემდებარებიან სათანადო ორგანიზაციულ ცენტრსა (მეცნიერული და სამხატვრო სექციები მათი ქვესექციებით) ხელმძღვანელთ იმ კითხვების შესახებ, რომელიც შედის ამა თუ იმ ცენტრის კომპეტენციასში.

9. სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიასთან სახალხო განათლების კომისარის თავმჯდომარეობით არსებობს ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმეთა საბჭო, რომელიც ორგანიზაციულად შეკავშირებულია ყველა მთავარ მმართველობებთან და აკადემიურ ცენტრთან.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ფ. შახარაძე. რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე. 1921 წ. ივნისის 6. ტფილისი. — სასახლე.

შინ. საქმეთა სახალხო კომისარიატი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული იძულებითი სამუშაოს მთავარი სამართველოსი და მისი ადგილობრივი ორგანოებისა.

1. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული იძულებითი სამუშაოს მთავარი სამართველოს ევალება:

- ა) შეერთება და ხელმძღვანელობა იმ ადგილობრივი დაწესებულებათა მოქმედების, რომელსაც დაკისრებული აქვს იძულებითი სამუშაოს თავისუფლების აღკვეცით, თუ უამისოდ, მოწყობა და მართვა.
- ბ) გადაწყვეტა ყველა იმ მთავარი მნიშვნელობის და პრინციპიალური საკითხის, რომელიც შეეხება სამართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციას.
- გ) იძულებითი სამუშაოს იმ ორგანოების, რომელიც არაა დაკავშირებული თავისუფლებას აღკვეცით.

თასთან და ბანაკების მოწყობის და მართვის შესახებ დებულების, ინსტრუქციის და წესების შემუშავება.

- დ) განხილვა მოხსენებისა და ანგარიშების, ადგილობრივი დაწესებულებათა მოღვაწეობის შესახებ.
- ე) მეთვალყურეობა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მალალი ორგანოების მიერ გამოცემული დეკრეტები და განკარგულებანი, რომელიც შეეხება იძულებითი სამუშაოს სამართველოს, სწრაფად ტარდებოდენ ცხოვრებაში.
- ვ) შემუშავება დასკვნითი ანგარიშების და მოხსენებათა ხანგამოშვებით მ. ს. ს. კომისარიატის კოლეგიისათვის წარსადგენად.
- ზ) მეთვალყურეობა, რომ ქვემდებარე ორგანოების მოქმედება იყოს სწორი და კანონიერი.
- თ) შტაბების დამტკიცება და მ. ს. ს. კომისარიატის კოლეგიისათვის დასამტკიცებლად წარსადგენი ხარჯთ-აღრიცხვის განხრლვა.
- ი) დამტკიცება ბანაკთა კომენდანტების და იძულებითი სამუშაოს მაზრის ქვეგანყოფილებათა გამგეების, იმ კანდიდატებიდან, რომელსაც სამაზრო რევკომი წარმოადგენს.
- კ) ახალი ბანაკების გახსნა.
- ლ) ერთი ბანაკიდან მეორეში პატიმართა გადაყვანის საკითხის გადაწყვეტა.
- მ) იძულებითი სამუშაოს მაზრის ქვეგანყოფილების წარდგენით პატიმართათვის თავისუფალ ბინაში ცხოვრების ნებართვის მიცემა.
- 2) იძულებითი სამუშაოს მთავარი სამართველოს სათავეში სდგას მ. ს. ს. კოლეგიის მიერ დანიშნული გამგე.
- 3) იძულებითი სამუშაოს მთავარი სამართველოს შტატს და ხარჯ-აღრიცხვას ამტკიცებს მ. ს. ს. კ. კოლეგია.
- 4) იძულებითი სამუშაოს მთავარი სამართველო ნაწილდება შემდეგ ქვეგანყოფილებებათა:
 - ა) ადმინისტრაციული, რომელიც ეწევა ყველა ადგილობრივი ორგანოს მოქმედების ზედამხედველობას და კონტროლს, ჰკრებს სტატისტიკურ ცნობებს პატიმართა რაოდენობის და შემადგენლობის შესახებ, ანაწილებს პატიმართ ბანაკებში, აძლევს ინსტრუქციებს ადგილობრივ დაწესებულებათ, რომ სისწორით აქნეს დაყენებული ადმინისტრაციული, სამეურნეო, და საფინანსო საქმის წარმოება; ადგენს ადგილობრივი დაწესებულებათა მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას და ანგარიშებს; იმუშავებს ინსტრუქციებს, წესებს, განკარგულებებს და სხ.
 - ბ) საწარმოო-ტექნიკური, რომლის მოვალეობაა: ბანაკებში სახელოსნოების მოწყობა და გამართვა, იძულებითი სამუშაოს მოსახდელი ადგილების შეკეთება, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და შრომ. სახალხო კომისარიატის დაჯალღებით ფაბრიკების, ქარხნების, ტყის დამამზადებელი ორგანოების და სხ. დახმარება იძულებითი სამუშაოს მისჯილთა შრომით.
 - გ) სამეურნეო, რომელიც განაგებს, იძულებითი სამუშაოს მთავარ სამართველოს და ადგი-



ლობრივ ყველა მისი ორგანოების, სამეურნეო სა-
კითხებს.

5. ყოველ ქვეგანყოფილების სათავეში სდგას
გამგე, რომელსაც ნიშნავს იძულებითი სამუშაოს
სამართველო და ამტკიცებს მ. ს. ს. კ. კოლეგია.

იძულებითი სამუშაოს სამაზრო ორგანოები.

6. ბანაკის და იძულებითი სამუშაოს სხვა და
სხვა სახის, თავისუფლების აღკვეთით ან უამისოდ,
დასახლებული მაზრის ტერიტორიაზე უმეშვეოდ
მართვისათვის, მაზრის რევეკომის შინაგან მართვე-
ლობის განყოფილებასთან, არსდება იძულებითი
სამუშაოს ქვეგანყოფილება, რომელიც თავის მუ-
შაოსის დროს ხელმძღვანელობს იმ დებულებებით,
ინსტრუქციებითა და განკარგულებით, რომელსაც
შეიმუშავებს იძულებითი სამუშაოს მთავარი სამარ-
თველო.

შენიშვნა: სამაზრო ქვეგანყოფილების
მოქმედებაზე საჩივარი უნდა იქნეს შეტანილი
ადგილობრივ რევეკომში, იმ შემთხვევაში კი,
როცა საჩივარი იქნება შეტანილი იძულები-
თი სამუშაოს მთავარ სამართველოში, უკანას-
კნელმა თავისი დასკვნით უნდა გადაუგზავნოს
იგი ადგილობრივ რევეკომს, ნაჩვენები ზომების
მისაღებად.

7. იძულებითი სამუშაოს ქვეგანყოფილების
სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ნიშნავს ადგი-
ლობრივი რევეკომი და ამტკიცებს იძულებითი სა-
მუშაოს მთავარი სამართველო.

მაზრის ქვეგანყოფილების მოვალეობა.

8. იძულებითი სამუშაოს ქვეგანყოფილების
მოვალეობაა.

ა) უმეშვეოდ განაგოს ადმინისტრაციული,
სამეურნეო და ფინანსური მხრივ ბანაკი და იძუ-
ლებითი სამუშაოს სხვა და სხვა დარგი.

ბ) ქვეგანყოფილების და მისი ქვემდებარე იძულე-
ბითი სამუშაოს ადგილების მოსაწყობი და შესანახი
შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა, ადგილობრივ
რევეკომისათვის წარსადგენათ და დასამტკიცებლად,
რომ შემდეგ იძულებითი სამუშაოს მთავარი სამარ-
თველოდან გამოთხოვილ იქნეს სათანადო კრედიტი.

გ) წარდგენა ყოველთვიურად, ადგილობრივ
რევეკომსა და იძულებითი სამუშაოს მთავარ სამარ-
თველოში, ქვეგანყოფილების და მისი ქვემდებარე
ორგანოთა მოღვაწეობის შესახებ მოხსენების და
ანგარიშების.

დ) ახალი ბანაკების და იძულებითი სამუშაოს
სხვა განყოფილებათა გახსნა, კერძო შემთხვევაში
იძულებითი სამუშაოს მთავარი სამართველოს წი-
ნასწარი ნებართვით

შენიშვნა: ასეთი მოხსენება იძულებითი
სამუშაოს მოსახდელი ადგილის მოწყობის
აუცილებლობის შესახებ, საჭირო კრედიტის
ხარჯთ-აღრიცხვის დართვით, უნდა წარედგი-
ნოს ადგილობრივ რევეკომს, რომელიც თავის

მხრივ გადაუგზავნის იძულებითი სამუშაოს
მთავარ სამართველოს.

ე) გამოუშვავება ქვემდებარე ბანაკთა ადმი-
ნისტრაციისა და იძულებითი სამუშაოს სხვა ორ-
განოთათვის ინსტრუქციისა და წესების, ადგი-
ლობრივ პირობებთან შეგუებით და იძულებითი
სამუშაოს მთავარი სამართველოს მიერ გამოცემული
ინსტრუქციების და განკარგულების თანახმად.

ვ) ბანაკთა კომენდანტებისა და მათი თანა-
შემწეთა დანიშვნა და ადგილობრივი რევეკომის
საშეაღებით მათი მთავარ სამართველოში წარდგე-
ნა დასამტკიცებლად.

8. იძულებითი სამუშაოს ბანაკში დაბატომ-
რებულითა შორის კულტურულ-განმანათლებელი
მუშაობა, სახალხო განათლების ადგილობრივი გან-
ყოფილების საშუალებით სწარმოებს.

9. სანიტარულ-მედიკური ზედამხედველობა
პატიმართა, ეკისრება ადგილობრივი რევეკომის
ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას.

10. პატიმართა ბანაკებში დარაჯობა და მათი
ბანაკს გარედ სამუშაოზე გაყვანის დროს გაყოლი
დარაჯობა რაზმი ეწყობა ადგილობრივი მილიციი-
დან ან სამხედრო ნაწილიდან.

შენიშვნა: 1. ბანაკთა შეიძლება მოეწ-
ყოს სპეციალური დარაჯობა-რაზმის-კომანდა-
2. დარაჯობა და სადარაჯო რაზმის სამსახუ-
რი სწარმოებს სამხედრო წესის თანახმად.

ქვეგანყოფილების შინაგანი განჩივება.

12. ქვეგანყოფილებისათვის დაკისრებული
მოვალეობათა ცხოვრებაში თანდათ ნობით და მი-
ზანშეწონილად გატარებისათვის, მის შემადგენლო-
ბაში ეწყობა სამი განყოფილება.

1. ადმინისტრაციულ ორგანიზ ციული, რომ-
ლის მოვალეობაა იძულებითი სამუშაოს მოსახდელი
ადგილების საერო მართველობა, ზედამხედველო-
ბა, რევიზია, და მათი მოქმედების კონტროლი.
მოსამსახურეთა პირადი შემადგენლობა განგებლო-
ბა, შეკრება და დაშლავება პატიმართა შესახებ
სტატისტიკური ცნობების; აღრიცხვა და დანაწი-
ლება მათი იძულებითი სამუშაოზე, როგორც ში-
გნით ისე ბანაკს გარეთ (ამ შემთხვევაში შრომის
ადგილობრივ განყოფილებასთან შეთანხმებით).

2. სამეურნეო-საწარმოო, რომლის საგანს
შეადგენს: სახელოსნოების მოწყობა ბანაკში და
მისი ტექნიკური ხელმძღვანელობა, ბანაკის შენო-
ბების მოწყობა და რემონტი, შეძენა და დანაწი-
ლება პატიმართა შორის სასურსათო ორგანოების
მიერ დადგენილი ყოველგვარი სურსათ-სანოვგის,
შეძენა და დანაწილება ტანსაცმელის და ფეხსაც-
მელის იძულებითი სამუშაოს მთავარი სამართვე-
ლოს მიერ გამოუშვავებული ნორმა და წესისამებრ
შეიძენა სახელოსნოებისა და ბანაკის სხვა ტექნიკური
საჭიროებისათვის მასალის ხელსაწყოსი, მიწოდება
ბანაკისათვის სათანადო, გაანათლებელი, ტრანსპორ-
ტის და სხვ. საშუალებების, თავის მოყრა მთელი
ფულისა და მატერიალური ანგარიშებისათვის და



სხვა კითხვები, რომელიც განყოფილების სამეურნეო მოქმედებას შეეხებოდა.

3. იძულებითი სამუშაოს, თავისუფლების აღუკვეთელად ბიურო—რომლის მოქმედების ფარგალი განისაზღვრება ცალკე დებულებით (იხ. § 57).

13. ყოველი განყოფილების სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ნიშნის ადგილობრივი რევეკომი ქვეგანყოფილების წარდგენით.

იძულებითი სამუშაოს ბანაკის მოწყობა.

14. ყოველი ბანაკის სათავეში სდგას ბანაკის კომენდანტი, რომელსაც ირჩევს ადგილობრივი რევეკომი და ამტკიცებს მ. ს. ს. კომისარიატის იძულებითი სამუშაოს მთავარი სამართავლო. ბანაკის კომენდანტი პასუხის მგებელია წესრიგის დაცვის და ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაცემული დანებებების, ინსტრუქციის და განკარგულების შესრულებაში. ბანაკის ყველა მოსამსახურე და პატიმარი, უნდა დაემორჩილოს კომენდანტის განკარგულებას.

15. ბანაკის კომენდანტი, უმეშვეოდ ემორჩილება—რა ადგილობრივ რევეკომის შინაგან მართველობის განყოფილებას, ვალდებულია ყოველ ორ კვირაში ერთხელ წარუდგინოს მას მოხსენება ბანაკის მოქმედების, პატიმართა რაოდენობის, მოძრაობის და გაქცევის შემთხვევის შესახებ (და აგრეთვე ბანაკში მომხდარ ყოველგვარ განსაკუთრებულ მოვლენაზე).

16. ბანაკის კომენდანტს ეძლევა უფლება, საგანგებო ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ პატიმართ მიუსაჯოს დისციპლინარული ხასიათის სასჯელი; კომენდანტი ნიშნავს და ითხოვს ბანაკში თანამშრომელთ.

17. ბანაკის კომენდანტის უმეშვეო თანამშრომელნი არიან: ა) ბანაკის მეურნეობის გამგე და ბ) იძულებითი სამუშაოს მართველი.

18. სამეურნეო ნაწილის გამგის მოვალეობაა: უზრუნველყოფა ბანაკის სურსათით, გასათბობი და გასანათებელი მასალით, ზრუნვა პატიმართა და იმ მოსამსახურეთა ტანისამოსზე, რომლებსაც ხაზინიდან ეძლევათ, ზედამხედველობა სადგომების რემონტისა და საერთოდ ბანაკის სამეურნეო ნაწილის გაძლოლა.

19. იძულებითი სამუშაოს კომენდანტის თანამშვეთა მოვალეობაა: ა) პატიმართა მუშაობის ორგანიზაცია როგორც ბანაკის ფარგლებში, ისე მის გარეშე, ბ) ზედამხედველობა პატიმართა მუშაობის ბანაკის სახელოსნოებში და იძულებითი სამუშაოს მოსახდელი სხვა ადგილების, გ) ზედამხედველობა პატიმართა ყოფა-ცხოვრების როგორც ბანაკში, ისე მის გარეშე, დ) გარედ სამუშაოზე გასაყვან პატიმართა ჯგუფის შედგენა და მათი თანამშრომლობის წესის შემუშავება, ე) ყოველი პატიმარის ნამუშევარის დროს აღრიცხვა და გამოანგარიშება მათი ხელფასის განსაკუთრებული ტაბელის საშუალებით.

შენიშვნა: ბანაკის სახელოსნოებში, მხოლოდ საბჭოთა დაწესებულებათა შეყვანითა სამუშაოს.

20. ბანაკის საქმის წარმოება ევალება, ბანაკისვე კანცელარიას, რომელიც შესდგება საქმის მწარმოებლისა, ხაზინადარ-ბუხჰალტრისა, მწერლებისა (150 პატიმარზე თითო) და მანქანაზე გადასწერლებისაგან (150 პატიმარზე თითო მეზანქანე).

21. ადგილობრივი პირობების მიხედვით, იძულებითი სამუშაოს ბანაკი, შეიძლება მოიწყოს როგორც ქალაქის ფარგალში, ისე ქალაქის ახლო მდებარე მამულში და სხ. და უნდა იქნეს ნაპირადევი არა ნაკლებ 150 და არა უმეტეს 600 პატიმარის დასამწყვდევად.

სადარაჯო რაზმი.

22. ბანაკში წესრიგის დაცვის პირდაპირი მეთვალყურეობა ევალება სადარაჯო რაზმს, რომელიც შესდგება უფროსისა, მისი თანამშვემწისა და სადარაჯო კომანდისაგან.

23. დარაჯთა რაოდენობა განისაზღვრება პატიმართა რიცხვის მიხედვით, იმ ბანაკში კი, რომელშიც პატიმართა რაოდენობა არ აღემატება 150 კაცს, ყოველ 16 კაცზე უნდა მოდიოდეს ორი დარაჯი, 150 კაცზე მეტი თუა, მაშინ ყოველ 10-ზე თითო.

24. სადარაჯო რაზმის ერთ ნახევარს თავის მოვალეობის ასრულება ევალება ბანაკის შიგნით; მეორე ნახევარს—კი დაცვა და თან გაყოლა, როცა პატიმარნი ბანაკს გარეთ იმყოფებიან.

შენიშვნა: საქმეების დროს თანამძლოლთა რაოდენობა შეიძლება გუდიდებული იქნეს დარაჯთა რიცხვიდან და პირიქით, დარაჯთა რაოდენობა თანამძლოლთა რიცხვიდან.

25. დარაჯთა უფროსის მოვალეობას შეადგენს: ა) ზედამხედველობა, რომ წესიერად იქნეს ასრულებული სადარაჯო სამსახური კომანდის ყველა მოსამსახურის მიერ, ბ) ზედამხედველობა, რომ პატიმართ არ დაარღვიონ წესრიგი. გ) დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ წინასწარ ზომების მიღება. დ) თვალყურის დევნება ბანაკში მოსულ გარეშე პირებისთვის, ე) დანიშვნა რაზმიდან მოხელეის, რომელიც უნდა დაიწროს პატიმარის სანახავად მოსული პირის შეხვედრას. ვ) მიღება პატიმართათვის გადასაცემი ნივთების და მიღებული აღრიცხვა, რის შიშვედ მიღებული ნივთები უნდა გადაეცეს სამეურნეო ნაწილის გამგეს, ზ) ახლად მიყვანილი და სამუშაოდან დაბრუნებული პატიმარის გაჩხრეკა.

სანიტარული და სამკურნალო ზედამხედველობა

26. ბანაკის სანიტარული მდგომარეობის საერთო ზედამხედველობა ევალება ადგილობრივ რევეკომის უანმართელობის დაცვის განყოფილებას.

27. უახლოესი სანიტარული ზედამხედველობა პატიმართათვის და სააქიმო დახმარების აღმოჩენა, ევალება აქიმს და ფერშალს, რომლებსაც ნიშნავს



ადგილობრივი რევკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება.

28. აქიმის მოვალეობაა: ბანაკის დათვალიერება ორჯერ მაინც; გასინჯვა და წამლობა ავადმყოფების; გამოკითხვა პატიმართა ჯანმრთელობის შესახებ; მეთვალყურეობა გაუწიოს ბანაკის სადგომების სანიტარული მდგომარეობას, განსაკუთრებით სამზარეულოს, საკვებოვრებელ ბინებს, ფეხისადგილებს და სხვ.

შენიშვნა: ავადმყოფობის უფციარი შემთხვევის დროს აქიმის გამოწვევა ყოველ წუთს შეიძლება.

29. ფერშალი ვალდებულია ყოველთვის ბანაკთან იყოს, განაგოს საავადმყოფო და აფთიაქი, აღმოუჩინოს სააქიმო დახმარება პატიმართ, გასინჯოს ახლად მოყვანილი პატიმარი, თვალყური ადევნოს რამდენად სავარგისია საჭმლის გასაკეთებელი ხორავი.

30. ბანაკთან უნდა მოეწყოს საავადმყოფო 15 საწოლით, ყოველ 150 კაცზე და აფთიაქი.

პატიმართა შესახებ.

31. იძულებითი სამუშაოს ბანაკში იმ პირის დაპატიმრება შეიძლება, რომლის შესახებ გამოიტანს დადგენილებას საქართველოს „ჩეკა“, რევოლუციური ტრიბუნალი, სახალხო სასამართლო და სხვა საბჭოთა ორგანო, რომელსაც ამის უფლება აქვს მინიჭებული ცენტრალური ხელისუფლების დეკრეტით და სათანადო განკარგულებით; არ შეიძლება მიესჯოს დაპატიმრება ბანაკში ქრონიკული სენით შეპყრობილს და ისეთი ორგანიზაციის წევრის მქონეს, რომელიც სრულიად შრომის უნარ დაკარგულია; შრომის უნარ დაკარგულობა უნდა შემოწმოს ბანაკის ადგილობრივმა ან ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების აქიმმა.

32. დედასა სქესის უსაკონი უნდა მოთავსდნ თითოეულ მათგანისათვის ცალკე მიჩენილ და გამართულ ბანაკში.

33. ბანაკში დაპატიმრებულნი უნდა იქნენ გამოავანნილნი სასამართლოს განაჩენის ან დადგენილების ასლთან ერთად და შიგ უნდა იქნეს აღნიშნული: გვარი, სახელი, მამის სახელი, უნდა იქნეს დასახელებული დაწესებულება, რომლის დადგენილებით იგზავნება პატიმარი და დანაშაული, რომლის გამო იგი სასჯელ გადაწყვეტილია, განაჩენის გამოტანის დროს და დამწყვედვის ვადა.

34. პატიმარის ბანაკში მიყვანასთანავე, მის შესახებ ცნობები, უნდა აღინიშნოს განსაკუთრებულ ბარათში სამ ცალად; ერთი უნდა მოთავსდეს საანბანო ნუსხაში, მეორე-გადაიგზავნოს იძულებითი სამუშაოს მთავარ სამართველოში, მესამე-კი დაერთოს პატიმრის საქმეს.

35. ყოველ პატიმარს ბანაკის კანცელარიაში უნდა ქონდეს საკუთარი პირადი ანგარიში და წიგნაკი, რომელშიაც შემოსავლად უნდა აღინიშნოს მისი შრომის გასამრჯელო, ხოლო მრავლად ბანაკის შესანახი ხარჯიდან ის ნაწილი, რაც მას წილად შეხვდება.

შენიშვნა: ბანაკის შესანახი ხარჯები ამ დეკრეტის § 41 თანახმად, ნაწილდება პატიმართა შორის ისეთი ვარაუდით, რომ ბანაკის ხარჯი სრულიად ანაზღაურდეს პატიმართა შრომით, როდესაც მათი რიცხვი არ იქნება ნავარაუდევზე ნაკლები.

36. პატიმართათვის გადაწყვეტილი საურავი ჯარიმა, უნდა აღინიშნოს მის საქმეში.

37. ყველა პატიმარი, ბანაკში მიყვანისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა დაინიშნოს სამუშაოზე და უნდა ეწეოდეს ფიზიკურ მუშაობას მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი ბანაკში იქნება. სამუშაოს დარგი ბანაკის ადმინისტრაციამ უნდა განსაზღვროს.

შენიშვნა: ცალკე პირებისათვის, სამართველოს ადგილობრივი განყოფილების ნებართვით, შეიძლება ფიზიკური შრომის გონებრივზე შეცვლა.

38. პატიმართათვის დადგენილია რვა საათის სამუშაო დღე. ზედმეტი და დამით მუშაობა შეიძლება შემოღებულ იქნეს შრომის წესების და კანონების დაცვით.

39. პატიმარო სურსათის ულუფა უნდა უდრიდეს იმ პირებისას, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწევიან.

40. პატიმართა შრომის ხელფასის რაოდენობა უნდა გადაწყდეს სათანადო ადგილების პროფესიონალური კავშირების ხელფასის მიხედვით. ხელფასიდან უნდა გამოერიცხოს: მისი შენახვის ხარჯი, სურსათისა, ჯანმამოსისა, ბინისა, ბანაკის ადმინისტრაციის შენახვისა, დარაჯისა. საერთო ჯამი გამორიცხულის, არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო ქირის სამ მეოთხედს.

41. ბანაკის და ადმინისტრაციის შესანახი ხარჯი, როცა შევსებული იქნება პატიმართა სრული რიცხვი, უნდა დაიფაროს პატიმართა შრომით. დანაკლისის გამო პასუხისმგებლობა ეკისრება ადმინისტრაციასა და პატიმართ, განსაკუთრებული ინსტრუქციაში გათვალისწინებული წესისამებრ.

42. პატიმარს ბანაკიდან პირველად გაქცევისათვის ადგილობრივი რევკომის ან იძულებითი სამუშაოს მთავარი სამართველოს დადგენილებით, პირველად გადაწყვეტილი ვადა დატუსაღების უდიდდება ხუთჯერ; მეორეჯერ გაქცევისათვის დამნაშავე პასუხის გებაში მიეცემა რევოლუციური ტრიბუნალის მიერ, რომელსაც აქვს უფლება მიუსაჯოს უმაღლესი სასჯელიც კი.

43. გაქცევის შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად შეიძლება საურთი ერთო თავდებობის შემოღება.

44. ყველა პატიმარი ერთად ირჩევს მთელი ბანაკისათვის ერთს მამასახლისს, რომელიც შუამავალია პატიმართა და ადმინისტრაციის შორის. მას ამტკიცებს ბანაკის კომენდანტი.

45. პატრესადები მიზეზის გარეშე, მუშაობაზე უარის თქმისათვის, პატიმარი დაისჯება განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად.

46. ბანაკის ადმინისტრაციის ყველა განკარ-



გულგება, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ასრულებული პატიმრების მიერ. ყოველ მათგანს შეუძლია განასაჩივროს ადმინისტრაციის უკანონო მოქმედება. ამისათვის ყველა ბანაკში უნდა იყოს საჩივრების წიგნი, რომელიც ინახება ბანაკის მამასახლისთან და წარედგინება მართველობის განყოფილებას, ან იმ პირს, ვისაც აქვს ბანაკის რევიზიის უფლება.

47. პატიმართა ნახვა შეიძლება მხოლოდ კვირაობით და უქმე დღეებში: უახლოეს ნაოცხავებისათვის (ცაოლისა, შვილებისა, დედასა, ძმებსა და დებისათვის) არაა საჭირო განსაკუთრებული ნებართვა; სხვა პირებისათვის-კი საჭიროა შინაგან მართველობის განყოფილების ნებართვა.

48. ცალკე პატიმარისათვის სურსათ-სანოვანის გადაცემა არ შეიძლება; ყველა გადაცემული სანოვანე საერთო სუფრას უნდა მოხმარდეს.

შენიშვნა: გადაცემა შესაძლებელია ავადმყოფისათვის, მხოლოდ ამ შემთხვევაში ყოველთვის საჭიროა ბანაკის აქიმის განსაკუთრებული ნებართვა.

49. პატიმარს, რომელიც გამოიჩინეს განსაკუთრებულ შრომის მოყვარობას შეიძლება: ა) იძულებითი სამუშაოს მაგივრად განყოფილებამ დაართოს ნება იცხოვროს კერძო ბინაზე, იმ პირობით რომ გამოცხადდეს ბანაკში დანიშნული მუშაობის შესასრულებლად და ბ) მ. ს. ს. კომისარიატს იძულებითი სამუშაოს მაგივრად სამართველობა, ადგილობრივი რევიკომის მართველობის განყოფილების წარდგენით, შეუძლიან შეუმკიროს რომელიმე პირს დაპატიმრების ვადა.

შენიშვნა: ამ მუხლის მეორე პუნქტი (ბ), არ ვრცელდება იმ პირებზე, ვისაც ბანაკში დაპატიმრება მიესაჯა სასამართლოს დაწესებულების მიერ; ასეთი პირები შეიძლება ვადამდე განთავისუფლებული იყვნენ საერთო, ვადამდე განთავისუფლების წესებისამებრ.

სადგომების შესახებ.

50. იძულებითი სამუშაოს ბანაკისათვის მიჩნეული ბინა, უნდა იყოს სავსებით გამოსადეგი და აკმაყოფილებდეს ჰიგიენის და სანიტარიის მოთხოვნილებებს.

შენიშვნა: სადარაჯო კამანდისათვის, ბანაკის რაიონში, ცალ-ცალკე ბინა უნდა იქნეს მიჩენილი.

51. ბანაკში დაპატიმრებულნი, უნდა იყვნენ მოთავსებულნი შენობების აგებულების და სიგრძის მიხედვით, საერთო ან ცალკე სენაკში.

52. ბანაკის გასამართავად უნდა იქნეს ამორჩეული ისეთი ადგილი, რომელიც განკერძოებული იქნება სხვა სადგომისა და შენობებიდან.

53. ყოველ სენაკში უნდა იქნეს ყოველგვარი, მასში მოსათავსებელი პატიმარისათვის აუცილებლად საჭირო საგანი.

შენიშვნა: მოარული სენის თავიდან ასაცილებლად, აკრძალულია საერთო საწოლების გამართვა.

54. ბანაკებთან უნდა მოეწყოს აბანო საშრეცხაო და სადებინფექციო ოთახი.

შენიშვნა: თუ შესაძლებელი იქნება აბანოს მოწყობა, მაშინ პატიმარნი, თვეში ყოველ შემთხვევაში ორჯერ მაინც უნდა იყვნენ ვაზნაფენილი აბანოში.

55. ბანაკის მოწყობისა და შენახვისათვის საჭირო კრედიტი ხარჯთაღრიცხვის წესით, ვალდებულ იქმნება მ. ს. ს. კომისარიატის იძულებითი სამუშაოს მთავარი სამართველოს მიერ, ადგილობრივი რევიკომის საშუალებით.

ქვეგანყოფილებასთან არსებული, თავისუფლების წაუთმევლად იძულებითი სამუშაოს ბიუროს შესახებ.

56. იძულებითი სამუშაოს ქვეგანყოფილებასთან, უკან-სენლის განყოფილების სახით, არსდება: თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი სამუშაოს ბიურო, („პრინციპურა“), იძულებითი სამუშაოს მოსაწყობად და ისეთი პირების მისაზღვათ, რომლებსაც მიესაჯათ სასამართლოსა და ადმინისტრატიული ორგანოების მიერ იძულებითი მუშაობა, თავისუფლების აღუკვეთლად.

შენიშვნა: იძულებითი სამუშაოზე დანიშვნა და განაწილება იმ პირების, რომლებსაც ეს სამუშაო მიესაჯა თავისუფლების აღუკვეთლად, იძულებითი სამუშაოს ბიუროს გარეშე, არ შეიძლება.


57. იუსტიციის ადგილობრივ განყოფილებას ეძლევა უფლება კონტროლის, იმის გამოსარკვევად, თუ როგორი სისწორით აასრულა ბიურომ სასამართლოსა და ადმინისტრატიული ორგანოების განაჩენი

შენიშვნა: განაჩენის და დადგენილებას ასლები, რომ მისჯილია იძულებითი სამუშაო თავისუფლების აღუკვეთლად, განაჩენის გამოძიან ორგანომ, სასჯელ გადაწყვეტილ პირთან ერთად უნდა გადაგზავნონ პირდაპირ ბიუროში, თან უნდა იქნეს ნაჩვენები, სრულად, რისთვის და რა ვადითაა იგი დასჯილი ან მიტყვეული ბანაკად და რა კატეგორიის სამუშაო უნდა მიეჩინოს მას.

58. ბიურო შესდგება შემდეგი ნაწილებიდან:

- ა) სააღრიცხო განმწილებელი, რომელიც აწარმოებს აღრიცხვას და რეგისტრაციას სასჯელ გადაწყვეტილებსა და ანაწილებს მათ სამუშაოზე;
- ბ) საორგანიზაციო, რომელიც განაგებს იძულებითი სამუშაოს მოწყობის საქმეს;
- გ) საკონტროლო, რომლის მოვალეობაა სასჯელ გადაწყვეტილთა შემოწმება მათი მუშაობის ადგილზე.

შენიშვნა: ა) სანიტარული და სამკურნლო კონტროლი ევალება ჯანმრთელობის ადგილობრივ განყოფილებას. ბ) ბიუროს განმანაწილებელ მუშაობაში, მონაწილეობას იღებს შრომის ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენელიც.



59. ბიუროს ვამცეს ნიშნავს შინაგან მართველობის განყოფილება და აქტივებს ადგილობრივი რევიზი.

60. იძულებითი სამუშაო შემდეგ კატეგორიებათ იყოფა:

ა) მძიმე სამუშაო: სხვადასხვა სიმძიმის ვადანიდვა, ხერხვა და დაჭრა შეშის, დატვირთვა და ვადმოტვირთვა სხვადასხვა საგნის და სხ. ხელით მძიმე სამუშაო.

ბ) ნაკლების სიმძიმის ფიზიკური სამუშაო: სადგომის და ქუჩის მილაგება-გასუფთავება, პაქტების დატარება და სხ.

გ) მუშაობა საბჭოთა დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით და აგრეთვე ზედმეტი სამუშაო, რის დროსაც შრომის ჯილდოთ უნდა მიეცეს დაწესებული ტარიფის დაბალი საფეხურის გადაწყვეტილი თანხა.

61. იძულებითი სამუშაო მისჯილ ან მიქცეულ პირთ ეძლევათ დროებითი შრომის წიგნაკი — პასპორტი ან მისი სამაგიერო დოკუმენტის ნაცვლად, რომელიც რჩება ბიუროში.

62. სასჯელის მოხდის ვადა ითვლება, სასჯელ გადაწყვეტილის ბიუროში მიყვანის დღიდან. სასჯელის ვადაში უნდა ჩათვალოს: ა) სასჯელ გადაწყვეტილის მიერ მუშაობაში ფაქტიურად მონაწილეობის მიღებას დღეები; ბ) ის დღეები, როცა მას არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო იძულებით მუშაობაში, ბიუროს მიერ სამუშაო ადგილის მიუთითებლობის გამო, და გ) ის დღეები როცა იგი გამოცხადდება ბიუროში რეგისტრაციისა და შესამოწმებლად.

63. სამუშაო დღის გამომუშავება, ან მუშაობის თავიდან ამცილებელი პირებს წინააღმდეგ, უნდა იქნეს მიღებული შემდეგი რეპრესიული ზომები: ა) სასჯელ გადაწყვეტილის მიზნით გამოშვებული თითო დღის მაგიერ, იძულებითი სამუშაოს ვადა უნდა ვადიდებულ იქნეს 3 დღით; გ) გამგობის დროს, იძულებითი სამუშაოს ქვეგანყოფილების გამცეს, ბიუროს გამცის წარდგენით, უფლება ეძლევა დამნაშავეის დამწყვედვის, ამისათვის მიჩენილ ადგილში 1-დან 10 დღემდე დაჯინებითი ცუდლუტობისა და გულგრილობისათვის, დამნაშავე პირი, შინაგან მართველობის განყოფილება დადგენილებით, უნდა ვაიგზავნოს დანარჩენი ვალის მოსახდელად სატუსალოში (ბანაკი ციხე) და ეს უნდა ეცნობოს იმ დაწესებულებას, რომელმაც პირველად გამოატანა ვანაჩენი.

64. ზარმაცისა და თავდარიგვიანობას მოკლებულის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული შემდეგი რეპრესიული ზომა: ა) ხელფასიდან გამოკლება გამოშვებული საათებისათვის და მისი ხაზინის შემოსავალში ვადარიცხვა; ბ) სულათ და არაკეთილსინდისიერათ ნამუშავარი დღე არ უნდა ჩათვალოს იძულებითი სამუშაოს მოსახდელ საერთო ვადაში.

65. მუყაითად და კეთილსინდისიერად მომუშავეთა შესახებ, როცა ისინი მოიხდიან სასჯელის ვადის ნახევარს, იძულებითი სამუშაოს ქვეგანყოფილებას შეუძლია აღძრას შეამდგომლობა ვანა-

ჩენის გამომტანი ორგანოს წინაშე, ვინაშით ვანაჩენის უფლებების შესახებ.

66. თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი სამუშაო მისჯილი, სარგებლობენ შრომის დაცვის მხრივ, მშრომელთა ყველა უფლებით.

66. საჯელ ვადაწყვეტილი ვალდებულნი არიან ბიუროს მიერ დანიშნულ დღეებში გამოცხადდენ ბიუროში რეგისტრაციისათვის, თვეში ორჯერ მაინც, ამას ვარდა ყველა დაწესებულებას, რომელიც სასჯელ გადაწყვეტილთა შრომით სარგებლობს, ვვალდება ყოველ თვიურად, არა უგვიანეს მე-5 დღისა, ვზავნოს ბიუროში სია იმ პირების, რომლებიც დასახელებულ დაწესებულებაში იხდიან იძულებითი სამუშაოს და თან უნდა ვადერთოს ცნობები იმ სასჯელ ვადაწყვეტილის შესახებ, რომლებიც არაკეთილსინდისიერად და ცუდლუტად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. ყოველი ასეთი შემთხვევა, ბიუროს მიერ შემოწმებული, უნდა იქნეს შეტანილი სასჯელ ვადაწყვეტილის დროებით შრომის წიგნში.

შენიშვნა: § 67 აღნიშნული მოთხოვნების რომელიმე დაწესებულების მიერ ორჯერ შეუსრულებლობა, ვამოიწვევს სასჯელ ვადაწყვეტილის მოხსნას დასახელებული დაწესებულების სამუშაოდან.

68. სხვა ქალაქელი, რომელსაც დარჩა სამუშაო ბლოში ოჯახი, ქონება და სამსახური, რომელშიც იგი შეუნაცვლებელი მუშაკია, შეიძლება მივლენილ იქნეს ადგილობრივ ბიუროს ვანკარგულებაში სასჯელ ვადაწყვეტილის საცხოვრებელ ადგილას, თუ ვანაჩენის ვაომტანი დაწესებულება ამის ნებას დართავს.

69. იძულებითი სამუშაოს ადგილობრივ ქვეგანყოფილების ნებართვით, ბიუროს შეუძლია დროებით ვანათავისუფლოს იძულებითი სამუშაოდან:

ა) ავადმყოფი სასჯელ ვადაწყვეტილი იმ ვადით, რომელსაც ვადადგენს ადგილობრივი მოვალეურე აქიმი, ან ვანძირთვლობის დაცვის ვანყოფილება.

ბ) ორსული — არსებული ვანონების თანახმად; გ) სამხედრო ვალდებული, რომელმაც ვაიარა ვარში სამსახური და ჩადენილი აქვს მცირე დანაშაული, სათანადო სამხედრო კომისარიატთან შეთანხმებით, ვარის ნაწილში ვადასავზავნად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვიციანი.

მ. ს. ს. კ. კოლეგიის წევრი, იძულებითი სამუშაოს მთავარი.

სამართველოს გამგე ვარძიელი

7 ივნისი, 1921 წ.

შრომის სახალხო კომისარიატი

სავალდებულო დადგენილ გა

შრომის სახალხო კომისარიატისა ქ. ტფილისის სავაქრო დაწესებულებებში სამუშაო დღის ნორმის შესახებ.

1. საწყობებსა, მალაჩიებსა და სხვა სავაქრო დაწესებულებაში, როგორც ბითუმში, ისე წვრილმანი ვაქრობა სწარმოებს დღეში 8 საათს შეუწყვეტილად.

ა) ზაფხულში 1 მაისიდან ვიდრე 1 ოქტომბრამდე დღის 9 საათიდან საღამოს 5 საათ.

ბ) ზამთარში 1 ოქტომბრიდან ვიდრე 1 მაისს 10 საათ. საღამოს 6 საათ.

შენიშვნა: ყოველი მოსამსახურენი, ვაქრობის ნორმალურ მიძინარეობის დაურღვევლად აუცილებელივ თავისუფლდება დასაწყობებლად სამუშაო დღის განმავლობაში 1 1/2 საათში; ასეთი დასვენების სარგებლობის წესი მუშავდება დაწესებულების პატრონსა, ან აღმინისტრაციასთან შეთანხმებით.

2. კანტორის მოსამსახურეთა სამუშაო დღე განისაზღვრება 6 საათით.

3. კვირაობით და შთავრობის დეკრეტით დაწესებულ უქმე დღეებში ვაქრობა სრულიად არ სწარმოებს.

შენიშვნა: მხოლოდ პური, ხორცი თევზულობით და ძეხვით მოვაქრე დაწესებულებას ნება ეძლევა ივაქროს კვირაობითაც.

ა) ზაფხულში დილის 8 საათიდან დილის 10 საათამდე, ზამთარში დილის 9 საათ. დილის 11 საათ. მოსამსახურეთათვის გარკვეულ დღიური ხელფასის მიცემით.

4. ხილის, წვანილის და სხ. სანოვაგის ბითუმით მოვაქრე დაწესებულება გაღებულია:

ა) ზაფხულში დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ბ) ზამთარში დილის 7 საათ. დილის 9 საათ.

5. ის წვრილი სავაქროები, რომელნიც არ სწარმოებენ მოსამსახურეთა დაჭირავებულ შრომით, ექვემდებარებიან თფილისის სავაქრო დაწესებულებათა გაღება-დაკეტის საერთო წესს.

6. შაბათობით და უქმეების წინა დღეების ყველა სავაქრო დაწესებულებაში ვაქრობა სწყდება დაწესებულ ვადაზე 2 საათ. ადრე და არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება მოსამსახურეთა მიერ დახურულ კარებში მუშაობა.

7. მოსამსახურეთა მიერ დანიშნულ დროზე სამუშაოს დასამთავრებლათ შესწყდეს მყიდველის სავაქრო დაწესებულებებში შეშვება დაკეტის ნახევარ საათით წინ, ხოლო შესასვლელ კარებში გამოაკრას განცხადება „მალაჩია დაკეტილია“.

8. სავაქრო დაწესებულების პატრონს უნდა ღებებოდა გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას, როგორც შესაფერისი პლაკატი დაწესებულების გაღებისა და დაკეტის დროს აღნიშვნით, ისე აღნიშნული სავალდებულო დადგენილება.

9. მოსამსახურეთა კომიტეტებს ევალებათ თვალყური ადევნონ აღნიშნულ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გატარებას და აცნობოს სათანადო რაიონის შრომის ინსპექტორს ყოველივე შემთხვევა დადგენილების დარღვევისა.

10 აღნიშნულ სავალდებულო დადგენილების დამრღვენი შრომის ინსპექტორთა განცხადებით, პასუხისმგებაში იქნებიან მიცემულნი, რესპუბლიკაში მომქმედ კანონების მიხედვით.

შრომის სახალხო კომისარი ლ. დუშბაძე.

საქმეთა მმართველი მ. ბერძნიშვილი.

ინსტრუქცია

შრომის სარაიონო ინსპექტორებისადმი.

1. შრომის სარაიონო ინსპექცია აერთიანებს თავის რაიონში უმთავრესად: ა) შრომის დაცვის და სოციალურ დაზღვევის (დაზღვევითი მუშაობა, ინსპექცია, სანიტარული და ტექნიკური ზედამხედველობა) განყოფილების; ბ) საკორექციონდენტო პუნქტები (მუშა ხელის აღრიცხვა განაწილება) და გ) სტატისტიკურ-საკორექციონდენტო პუნქტების (ცნობების წინასწარი შეკრება) მუშაობას.

2. შრომის სარაიონო ინსპექციის მოვალეობას შეადგენს:

ა) შრომის საკითხთა დარგში მომქმედ კანონთა და მთავრობის დადგენილებების ასრულების მეთვალყურეობა.

ბ) შრომის რომელიმე დარგში ყველა მომუშავეთა შრომის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით საჭირო ზომების მისაღებათ მასალის დამუშავება.

გ) შრომის სახალხო კომისარიატის მიერ შრომის დაცვისა და სოციალურ დაზღვევის შესახებ მიღებულ ზომების ცხოვრებაში გატარება.

დ) ყველა სარწმუნო წარმოებაში, აგრეთვე ყველა სახელოსნო, სავაქრო დაწესებულებებში და სხვა-გვარ სამუშაო ადგილებზე სანიტარულ-ტექნიკურ პირობებისაფის ზედამხედველობის წარმოება და ამ საქმის მოწყობა.

ე) ყველა სამრწველო წარმოებაში და სხვა-გვარ დაწესებულებაში, სადაც შრომა სწარმოებს, აგრეთვე მუშათა საცხოვრებელ ბინებში სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობის ზედამხედველობა და ზედამხედველობის საქმის მოწყობა.

ი) შრომის სანიტარულ-ტექნიკურ და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესებისთვის საჭირო ზომების გამოწახვა და დამუშავება.



თ) შრომის პროფესიონალ-პიფიენურ პირობების გასაუმჯობესებლად სათანადო ზომების შესწავლა და დამუშავება.

უ) მუშათა და მოსახლურე მოსახლეობის სიკაცხლის და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ფაბრიკა-ქარხნების, სახელოსნო და სხვა დაწესებულებათა განხილვისათვის, აგრეთვე მათში წარმოებულ მუშაობისათვის ზედამხედველობის გაწევა და ამ საქმის მოწყობა.

კ) შრომის დაცვის და სოციალურ უზრუნველყოფის დარგში არსებულ კაბონთა და მთავრობის განკარგულებათა ასრულებისათვის საერთო ზედამხედველობის და კონტროლის წარმოება.

ნ) შრომის პროფესიულ და ჩვეულებრივი პირობების გასაუმჯობესებლად ზომების შესწავლა, დამუშავება და მათი ცხოვრებაში გატარება.

მ) დროებით, მუშაობის უნაღის დაკარგვის (ავადმყოფობა, მშობიარობა, დასახიჩრება, ინვალიდობა და მშობიარობის ან მისი რაჯახის წევრის სიკვდილი) დროს სოციალურ დაზღვევის განხორციელება და ამ საქმის მოწყობა.

რ) შრომის დაცვის იღვის ფართო პროპაგანდა.

ო) რაიონში არსებულ მუშა-ხელის სტატისტიკური აღრიცხვა და, საქიროებისადებრ, წარმოებათა შორის თავისუფალ მუშა-ხელის თანაბრად განაწილება.

პ) სამრეწველო და სხვა დაწესებულებათა გამოკვლევის საშუალებით შრომის საკითხთა დარგში სტატისტიკურ მასალის შეგროვება.

ჟ) მუშათა ორგანიზაციების (პროფ. კავშირები, მუშათა კლუბები და სხ.) ძღვოძარეობის შესახებ სტატისტიკურ მასალის შეკრება.

ზ) საანკეტო დაკითხვის საშუალებით მუშათა ცხოვრების პირობების (საბინაო, კვების, ბიუჯეტის, განათლების და სხ.) გამოკვლევა.

ტ) სოციალურ დაზღვევის სხვა და სხვა დარგში (საავადმყოფო კასები, საპენსიო და დაზღვევი კასები და სხ. დაზღვევი ორგანიზაცია და დაწესებულება) სტატისტიკური მასალის შეკრება.

თ) რაიონში პიოველ საქიროების საგნებზე არსებულ სამაზანდო ფასების შესახებ სტატისტიკური ცნობების შეკრება.

შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.

საქმეთა მმართველი მ. ბერძენიშვილი

დადგენილება

შრომის სახალხო კომისარიატისა ნათესავების ერო.დ სამსახურის შესახებ.

1. აკრძალულია ნათესავების ერთად სამსახური იმ დაწესებულებებში, სადაც შტატი 50 კაცს არ აღემატება.

2. იმ დაწესებულებებში, სადაც მოსამსახურეთა რიცხვის 50 კაცს აღემატება, ნათესავების ერთად

თად სამსახური აკრძალულია მართლაც ერთად იმავე განყოფილებაში.

3. ნათესავებად ირიცხებიან ის პირნი, ვისაც ერთმანეთში ნათესაობა მეორე ხარისხამდე (უკანასკნელის ჩათვლით) აქვთ, სახ. ლდობრ, შაშა, დედა, მეუღლე, ვაჟი, ქალი, და, ძმა და პირველ ხარისხის მონათესავენი.

4. იმ დაწესებულებებში, სადაც ნათესავების სამსახური გწინააღმდეგება ამ დადგენილებას, მოსამსახურენი უნდა გადაყდანილ იქმნან სხვა განყოფილებაში ან დაწესებულებაში ან და თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, სამსახურდან დათხოვნილ იქმნან საერთო წესით.

5. აღმინისტრაციის პირნი და მოსამსახურენი, ვინც კი ამ დადგენილებას დაარღვევს, გასამართლებულ იქმნებიან სარეგოლიუციო ტრიბუნალის მიერ.

შრომის სახალხო კომისარი დუმბაძე.

ს. პრ. კავ. ს. მთივანი უფრულაშვილი.

შრ. კომ. საქმეთა მმართველი ბერძენიშვილი.

11 მაისი 1921 წ.

დადგენილება № 2

შრომის სახალხო კომისარიატის მომუშავე დაწესებულების აღრიცხვის და განაწილების შესახებ.

1. არსებულ შრომის ბირჟების ნაცვლად არსდება ქვე-განყოფილებანი მომუშავე ძალების აღრიცხვის და განაწილებისადგილობრივად შრომის განყოფილებებთან და მათი მოქმედების ხელმძღვანელი მომუშავე ძალები აღრიცხვის და მათი განაწილების განყოფილება შრომის სახალხო კომისარიატთან.

2. ყველა მუშების და მოსამსახურების დასაქირავებლად დაწესებული კერძო ბიუროები და კონტორები ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან ითვლებიან გაუქმებულად და ვალდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში ჩააბარონ ყველა თავისი საქმეები და საბუთები მომუშავე ძალების აღრიცხვის და მათი განაწილებისადგილობრივ ქვე-განყოფილებას.

3. სამსახურში მიღება ყველა დაწესებულებებში და წარმოებებში როგორც საზოგადოებრივში, სახელმწიფოებრივში, ისე კერძოში, ხდება მხოლოდ მომუშავე ძალების აღრიცხვის და მათი განაწილების ქვე-განყოფილების მიერ ან განყოფილებაში ჩაწერილ მუშა-მოსამსახურეთა რაცხვიდან.

4. საბჭოთა დაწესებულებათ უფლება ეძლევათ სამუშაო ძალების აღრიცხვის და მათი განაწილების განყოფილების გარეშე მიიღონ მოსამსახურენი მხოლოდ საპასუხისმგებლო ადგილებზე, მაგ: განყოფილების ან ქვე-განყოფილების გაკვის ან მის თანაშემწის ადგილზე, განყოფილების საქმეთა



შპართველის ან მდივნის თანამდებობაზე, მაგრამ დაბოლოებით მათი თანამდებობაზე მიღებამდე უნდა მიღებულ იქნას ცნობა სამუშაო ძალების და განაწილების განყოფილებიდან, რომ ისინი ჩარიცხულნი არიან განყოფილებაში.

5. რაც შეეხება იმ თანამდებობებს, რომელნიც ახლოლობენ სპეციალურ ცოდნას, როგორც მაგ: ინსტრუქტორების, სპეციალისტების, ინჟინრების, სტატისტიკოსების, ექიმების, აგრონომების, უფროს ბუქხალტერის და სხვები, საბჭოთა დაწესებულებათ შემოღება ეძლევათ მიიღონ ასეთი თანამდებობაზედ მომუშავე ძალების და მათი განაწილების ქვე-განყოფილების საშუალებით რიგ გარეშე.

6. თუ სამუშაოს ხანგრძლივი ხასიათი აქვს, დაბოლოებით ასეთ ალაგზე მიღებას წინ უძღვის გამოცდა არა უმეტეს ექვსი დღის ვადით მუშებისთვის, ნაკლებ საპასუხისმგებლო ადგილზე ორი კვირის ვადით და საპასუხისმგებლო ადგილზე ერთი თვის ვადით.

7. გამოცდების შედეგის, ადგილზე მიღების ან არ დაშვების შესახებ დაწესებულებიდან ეგზანება ცნობა სამუშაო ძალების აღრიცხვის და მათი განაწილების განყოფილებას არა უგვიანეს სამი დღისა შენ მუხ. აღნიშნულ გამოცხადების ვადის შემდეგ.

8. ვადაყვანა ერთ დაწესებულებიდან ან წარმოებიდან მეორეში, რომელნიც იღებარებენ იმავე ან სხვა და სხვა ადგილზე ხდება შესაფერისი მპართველობითი ორგანოსაგან მომუშავე ძალის აღრიცხვის განყოფილების დასტურით.

სწორება:

საქმის მწარმოებელი

სირკულიარი № 18

თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესის დაცვის შესახებ, სახალხო კომისრებს, შრომის განყოფილებათ და შრომის სარაიონო ინსპექტორებს.

ა. წ. 23 მარტის, შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად აღრიცხვის განყოფილების მოწყობის და მუშა ძალის განაწილების შესახებ, თანამშრომელთა მიღება სამსახურში ყველა სახელწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებასა და წარმოებაში, სწარმოებს მხოლოდ მუშა ძალის აღმრიცხველ (უზრახსილავ) ორგანოს საშუალებით. მასუხისმგებელი და სპეციალისტების გარდა, რომლებს მოწვევა შეუძლია სათანადო დაწესებულებებს და წარმოებას მუშათა ძალის აღმრიცხველ ორგანოს დაუკითხავად, მხოლოდ იმ აღკიდებელი პირობით, რომ სამსახურში შესვლამდე გატარდენ მუშათა ძალის აღმრიცხველ განყოფილებაში და წარადგინონ დაწესებულებასა და წარმოებაში სათანადო სარეგისტრაციო მოწმობა.

აღნიშნული დადგენილების მიუხედავად, შრომის სახალხო კომისარიატში მოსული ცნობებით, ზოგიერთი დაწესებულება გვერდს უხვევს სამსახურში მისაღებად დადგენილ წესებს და თავისუფალ ადგილზე თანამშრომელთა მიღებას ახდენენ უმეშვეოდ, სტოვებენ რა განზე აღრიცხულ ორგანოებს და სამუშაო ძალების განაწილების წესებს, რაც ერთი რომ არღვევს ყველასთვის სავალდებულო და შრომის დანაწილების ერთად ერთ ნორმას, მეორე კი რეგისტრაციაში გატარებულ მუშაკთა შორის, რომლებიც უმედეგოდ უცდიან თავის რიგს, იწვევს სამართლიან საყვედურებს.

გაუწყებთ რა ამას, შრომის სახალხო კომისარიატი გთხოვთ, მოახდინოთ სასწრაფო განკარგულება თქვენდამი რწმუნებულ ცენტრალურ და ქვემდებარე დაწესებულებათა მიმართ იმის შესახებ, რომ ზვით დასახელებული დადგენილება შრომის სახალხო კომისარიატისა, სასტიკად იქნეს დაცული და დაუკონებლივ შეწყდეს მიღება სამსახურში, მუშა ძალის აღმრიცხველ სამართველოს დაუკითხავად და ახვევით და სარეგისტრაციო მოწმობის წარმოუდგენლად.

შრომის სახალხო კომისარი დ. დუმბაძე.

საქმეთა მართველი მ. ბერძნიშვილი.

მუშა ძალის აღმრიცხველ განყოფ.

გამკის დროებ. მოადგილე ა. კურშელი.





არა-ოფიციალური განყოფილება.

კომუნისტების ვალი სოფლად.

ბორკილებ დაწყვეტილი, მალვა-დვენას თავდაღწეული, წელში გამართული, ახლა უკვე მებრძოლ ღია ჯგუფებად დარაზმული საქართველოს კომუნისტური პარტია ამერიიდან ითვლება მთავრობის პარტიად; იმ მთავრობის, რომელიც მშრომელი კლასის გამუდმებულ ბრძოლის შედეგით არის წამოყენებული.

არავისთვის სადაო არ არის, რომ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომშობ ხსენებულ კლასის სულისა და გულს შეადგენს კომუნისტური პარტია; რევოლუციიდან მოცემულ მრავალ გაცვეთილებით ეს ნაჩვენებია ყველას დასანახად; იგი ასე ესმის თვით ჩვენს შეუროგებელ მტრებსაც.

ეს საჭიროა ახსოვდეს როგორც მოყვარებებს ჩვენი რესპუბლიკისას, ისე მის ორგულებსაც.

ჩვენი სახელმწიფოს ახლად შექმნის პროცესში მყოფი აპარატი იმით განსხვავდება ყველა დანარჩენ — არა საბჭოთა რესპუბლიკების — აპარატებთან, რომ აქ ჩვენთან იგი ეწყობა მხოლოდ და მშრომელი კლასის საღი ძალებით, იმისი უშუალო, — აპარატის შექმნაში — პირდაპირი მონაწილეობის მიღებით.

ეს საღი ძალები კი თავმოყრილი არიან ერთად ერთ კომუნისტურ პარტიაში, რომელიც გვადლევს მშრომელ კლასის ახალი ცხოვრებისაკენ წამყვან მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, — საბჭოთა რესპუბლიკას.

როგორც აღზად ეცოდინებათ საბჭოთა მთავრობის მოქმედებით ყველა დაინტერესებულებს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული მთავრობის ოფიციალური ორგანო — ჩვენი ჟურნალი — „მოამბე“, უმთავრესად და განსაკუთრებით თავის გვერდებს უთმობს, ამავე მთავრობის მიერ გამოცემულ დეკრეტების, ბრძანებების და განკარგულებების დაბეჭდვას, რომელიც შემდეგ გვზავნება საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მყოფ ყველა პარტიულ თუ მთავრობის დაწესებულებებს.

გამოცემულ დეკრეტების, ბრძანებების და განკარგულებების მიზანი, როგორც ქალაქებში ისე სოფლად არის გატყავებულ-დაჩგრულ მუშათა და გლეხთა კლასობრივი ინტერესების დაცვა; იგი საბჭოთა მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი კანონებია მქონებელ კლასთა — ბურჟუა მემამულეების, — წინააღმდეგ მიმართული, აქ როგორც მტრები ისე მოყვრები ნახავენ თავიანთი უფლებების

განსაზღვრას, არსებობა-მოქმედებისთვის შექმნილ ახალ, უჩვეულო სარბიელს, გამოწვეულს, ნაკარნახევს კაპიტალისტური წყობილების ზღუდვითა ნგრევით.

ყოველივე ამას, ჩვენს ჟურნალ „მოამბეში“ დაბეჭდილი მთავრობის დეკრეტ-ბრძანება-განკარგულებები იძლევა უხვად, მაგრამ — როგორც ამას პრაქტიკა გვასწავლის, — ეს არ კმარა იმისთვის, რომ მძიმე, ეკონომიურ კრიზისით წელში გატეხილ მშრომელ ხალხს ყოველივე წვდეს, გაიგოს მათთვის დაწერილი და გამოცემული მთავრობის მოქმედება-განკარგულებები ისე, როგორც ეს თვით მთავრობას და მის სულის ჩამდგმელ კომუნისტურ პარტიას ესმის. ჩვენ ვიცით, რომ ათასკვარ უჩინარ მიზეზთა გამო ჩვენი ჟურნალი „მოამბე“ ყველას ვერ ხვდება; ყველგან ვერ აღწევს იგი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ანგარიშით მისი განსაზღვრული რაოდენობა ამა თუ იმ ადგილებში იგზავნება სპეციალურად კიდევ.

ეს შეეხება — დეკრეტთა კრებულს ჩვენი ჟურნალ „მოამბის“ გავრცელების მხოლოდ ტექნიკურ მხარეს.

დაბრკოლება ხსენებულ ჟურნალისგან დასახულ იდეის გავრცელებისადმი კიდევ უფრო დიდია.

მაგალითათ ჟურნალში მოყვანილი მთავრობის გამოცემული ესა თუ ის დეკრეტ-განკარგულებები ბევრი, წერა-კითხვის უცოდინარ გლეხებისთვის მიუწვდენელი ხდება; ხოლო ვინც იცის მათ შორის კითხვა, იცის ისე სუსტად, გებულაბს ხშირად ისე დამახინჯებულად, ცუდათ, რომ უკანასკნელნი წაკითხვითაც არაფერს ღებულობენ. აქ როგორც პირველთ ისე უკანასკნელთ ესაჭიროებათ წაკითხვა, განსაკუთრებული ახსნა-განმარტება. ამ წაკითხველს და ახსნა-განმარტების მომცემს ისინი რა თქმა უნდა ვერ მონახავენ, ვერ იპოვიან, თუ ასეთი პირები თითონ არ მივლენ მათთან.

ყოველივე ზემოთ მოყვანილში ჩვენ ვგულისხმობთ უმთავრესად პროვინციებს, სოფლებს.

აქ ჩვენ გვინდა მიუთითოთ სოფლელ კომუნისტებზე.

სახელმწიფოს, მის მთავრობას ამის გამოასასწოებლად სხვა უფრო საიმედო და მოხერხებულთი აპარატი არ მოეპოვება თუ არ შეჩერდება სოფლებში ღარიბ გლეხებთან მომუშავე ჩვენს ამხანაგ კომუნისტებზე; ხსენებულ კომუნისტებს კი ერთად ერთს ძალუძთ მთავრობის სოფლად შემოქმედებითი მუშაობაში ამ შემაფერხებელ მოვლენების წინააღმდეგ შესაფერი ზომები მიიღოს და სასურვე-

ლი ნაყოფიც გამოიღოს. ამხ. კომუნისტებს სოფ-
ლად აქვთ საშუალება, დროც, უწყობს ხელს ბუ-
ნებრივი პირობების, და პარტიული ვალის მი-
ხედვით უნდა იკისრონ—მივიდნენ თავიანთ მოძ-
მე, წერა-კითხვის სუსტათ მკოდნე თუ სრულე-
ბით უვიც ღარიბ გლეხებთან და წაუკითხონ, გა-
ნუშარტონ ჟურნალში მოთავსებული, სახელმწიფო
ძალა-უფლების ამა თუ იმ სფეროს და დარგის შე-
სახებ გამოცემული მთავრობის დეკრეტ-განკარგუ-
ლებების შინაარსი და მნიშვნელობა. ხოლო სადაც
ეს დეკრეტთა კრებული-ჟურნალები არ აღწევნენ,
აცნობონ რედაქციას და მოითხოვონ საჩქაროთ;
აგრეთვე თუ რამე ძნელი გასაგები, ბუნდოვანი და
მიუხვედრელი იქნება, ესეც წერილობით შეეკით-
ხონ რედაქციას, რაზედაც დაუყოვნებლივ მიიღებენ
დამაკმაყოფილებელ პასუხს.

აი, ასე, მთავრობის შემოქმედებითი მუშაობა
პროვინციებში შესაფერ ნაყოფს გამოიღებს, მი-
ხან შეწონილი იქნება გაწეული მუშაობა, და აქ
ამ მთავრობის სულ და გულ—ამხ. კომუნისტების-
განაც სოფლად პარტიული და მასთან დაკავშირე-
ბული სახელმწიფო ვალიც წმინდათ შესრულებუ-
ლი იქნება.

ეკონომიურ ალერჰინაბისათვის.

„ბედნოტა“ ეხება საბჭოთა რუსეთის ეკონო-
მიურად დაქვეითებისა და მრეწველობის დაშლა
შეფერხების საკითხს და აღნიშნავს, რომ რუსეთის
მეურნეობის კრიზისი იმით კი არ არის გამოწვეული
რომ მრეწველობის წარმოება კერძო ინიციატივის
მაგიერ კოლექტიურ პრინციპებზე ეწყობა, არამედ
საერთო გარდამავალი მიზეზებით.

პირიქით ეს სისტემა ერთად ერთი გზაა, რო-
მელმაც უნდა შესცვალოს ძველი ბურჟუაზიული
მეურნეობის უსისტემობა და გზა გაუკაფოს ზო-
გად, კოლექტიურ მრეწველობას, რაც აუცილე-
ბელი პირობაა ქვეყნის ეკონომიურად გარდაქმნი-
სათვის სოციალისტურ აღმშენებლობის მასშტაბში.

რომ დღევანდელს პირობებში ძველი ბურჟუა-
ზიული მრეწველობა უფრო შერყეულია და დაქვეი-
თების გზას ადგია, ამის საილიუსტრაციოდ გაზეთს
გაჰყავს პარალელი სარაბოლშევიკურ ლატვიის მრე-
წველობის დაშლისა და უსისტემობის შესახებ, სა-
დაც კერძო წარმოება, ბატონობს და სადაც კაპი-
ტალისტურ მეურნეობის ფორმას გამოუვალ ჩიხში
ჩაუყენებია სახელმწიფოს ეკონომიკის საქმე.

„ბედნოტა“ სწერს:
თვალებს არავინა ჰხუტავს იმაზედ, რომ ჩვენ-
ში, საბჭოთა ქვეყანაში წარმოება სულსა ჰლადავს.
მაგრამ ძლიერ ბევრნი ჰხუტავენ თვალებს ჩვენ-
ნი მეურნეობის დაქვეითებისა და განადგურების
ნამდვილ მიზეზების წინაშე.

ხშირად გვესმის ამგვარი ლაპარაკი:
ქარხნები და ფაბრიკები ხელახლად კერძო
მწარმოებელთა ხელში რომ გადავიდოდეს, მაშინ
ასე არ იქნებოდა,—მაშინ უცბად გამოცოცხლდე-

ბოდა საქმე, უცბად დაგროვდებოდა მრავალი სა-
მეურნეო ნაწარმოებიო.

თუ ასე იქნება. მაგრამ რას გვეუბნება ცხოვ-
რება? ამისათვის მოგყავს ერთი ბატარა ამონაწერი,
რიგაში გამოცემულ გაზეთიდან. ეს გაზეთი (რო-
მელიც არ არის ბოლშევიკური), სწერს თავის
ლატვიის შესახებ, სადაც მთელის თავისი ბრწყინ-
ვალეობა მეფობს კერძო საკუთრება და სადაც
წმინდათ არის დაცული კანონი, პირადი ინტერე-
სებისა:

„ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა—
სწერს გაზეთი თანდათან უარესდება და აღარ
ვიციტ როდის დააღწევს თავს იმ სირთულეს,
რომელშიაც იგი ჩააყენა მეურნეობის უსისტემოთ
წარმოება“.

აი, როგორ ყოფილა საქმე, როგორცა სჩანს
ბურჟუაზიულ მეურნეობას გაურთულებია საწყალი
ლატვიის მდგომარეობა, ვინაიდან კაპიტალისტური
მეურნეობა მისივე მსახურთა სიტყვით არის უსის-
ტემოდ წარმოება მეურნეობისა. ლატვიას ვერა-
ფერი ვერ იხსნის უბედურებისაგან. ვერც მისი
მართველობის „დემოკრატიული“ წყობილება ვერც
ვაჭრობის თავისუფლება, ვერც საწარმოვო იარა-
ღების კერძო მესაკუთრება, ვერც პირადი ინტე-
რესების ზეიმა და ვერც სხვა რამ, რაზედაც განცხ-
რომით განისვენებს დიდება ბურჟუაზიული მსოფ-
ლიოსი.

პირიქით, ყველა ეს ღირსება ჰლუზავს საცო-
დავ ლატვიას. კაპიტალისტები თავისი კონკურენ-
ციითა, თავიანთი სპეკულიაციითა და სხვა ჩარჩუ-
ლის ხრკებით ჰქმნიან უსისტემო და მტაცებლურ
მეურნეობის წარმოებას.

თუ არა ბოლშევიკური გაზეთი თავის არა-
ბოლშევიკური ქვეყნის შესახებ ასეთ დასკვნას აკე-
თებს, ჩვენ შეგვიძლიან გადმოვიღოთ აქედან სა-
სწავლო გაცვეთილი და ვსთქვათ:

— ჩვენი მრეწველობა იმიტომ კი არ მოიკოჭ-
ლებს და სულს იმიტომ კი არა ჰლადავს, რომ ჩვენ
ჩვენ მეურნეობას გვემა-შეწონილად ვაშენებთ,
(და არა უსისტემოთ), რომ მრეწველობას ვუდ-
გებით საერთო სახელმწიფოებრივი საზომითა და
მოთხოვნილების მიხედვით.

ჩვენი უბედურების მიზეზი ეს არ არის. არა-
მედ ის, რომ სახალხო მეურნეობას წარმოებაში
ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვერ წაველით: ბურჟუაზიულ
დაქსაქსვისა, დანაწილებისა და უსისტემობისაგან.

ჩვენ გვინდა რომ არა მარტო დეკრეტებით,
არა მარტო ქაღალდზე სწარმოებდეს ჩვენი მრეწვე-
ლობა, როგორც ერთი მთლიანი სახელმწიფოებ-
რივი ფაქტორი შეთანხმებული ყველა თავის ნაწი-
ლებთან, მომქმედი მწყობრად და გვემის მიხედვით.

ეს ცოტაა.
ჩვენ გვინდა რომ საბჭოთა რესპუბლიკის თვი-
თეული მუშა, თვითეული მოქალაქე ჰგრძნობდეს,
შეგნებული ჰქონდეს, ნათლად ჰხედავდეს, რომ მუ-
შაობს რა იგი თავის ფაბრიკაში იგი აკეთებს სა-
ერთო სახელმწიფოებრივს საქმეს. და თუ იგი თა-

ვის აღვიღო წახდენს ამ საქმეს, ამით დაირღვევა საერთო გეგმა რომელიმე სხვა ადგილას.

ერთის სიტყვით, კაცობრიობის სიმშვილისა და განდგომარეობისაგან ხსნა მდგომარეობს არა კაპიტალისტურ უსისკემო მეურნეობის წარმოებაში, არამედ გაეროვნებულ გეგმიანსა და თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის დამორჩილებულ მეურნეობაში.

გლუხო კოჰიციოზი და სოფლელ მომუშავეთა მოვალეობა

მასის 14-ს რუსეთის კომისართა საბჭომ დაშორა დიკრიტი გლიხთა კომიტეტების დაარსების შესახებ, რომლის მიზანია მოაწყოს სოფლად ორგანიზაცია ღარიბთა გლეხთა ურთიერთშორის საზოგადო დახმარებისა და განაწილოს ის ფონდი, რომელიც ნატურალურად და ფულით გადაიდება სახელმწიფოს მიერ ხელმოკლე მიწის მეურნეთა დასახმარებლად. ეს კომიტეტები უნდა წარმოადგინდნენ ერთგვარ კოლექტიურ ორგანიზაციას. რომელიც სახელმწიფო ფონდის განაწილების გარდა ხელმძღვანელობას გაიწივს აგრეთვე ადგილობრივ მეურნეობის წარმოებას. სწარმოვო იარაღების შეკეთებას საერთო ძალოვნით და მოაწიროვებს ურთიერთშორის შრომით დახმარების საქმეს

ამის გამო ვახ. ბელნოტა სწირს:

„ნატურალური გადასახადის შემოღება გლეხობისათვის ჰნიშნავს დიდს აადვილებას.

მაგრამ გლეხიც განიჩნევა გლეხისაგან.

მაგალითად, რას უქადის ნატურალური გადასახადი—უცხენო. გალატაკებულ, წვრილმიწის მქონე სუსტ გლეხებს?

იმას, რომ ნატურალური გადასახადის ჩაბარების შემდეგ გლეხს ზედმეტი პური რჩება სრულს თავის განკარგულებაში.—ეს მდგომარეობა ღარიბისათვის დიდს სიხარულოს არ წარმოადგინს: ჯერ კიდევ საკითხაია—დარჩება თუ არა მას ზედმეტი?

მართალია ულარბესი მეურნენი თავისუფალნი არიან გადასახადისაგან,—მაგრამ სამაგიეროდ შეძლებული მეურნენია თავისუფალნი არიან თავისი ღარიბი მეზობლებისათვის იძულებითი დახმარებისაგან.

წინანდელი საშინაო ურთიერთშორისი დახმარებისათვის განაწილის წარმოება მოსპობილია და ამიერიდან აღარ იქნება.

მაშასადამე როგორს მდგომარეობაში ჩავარდება ღარიბი გლეხი, რომელიც თუმცა თავისუფალი იქნება გადასახადისაგან მაგრამ მინც ვერ მოინაჯრებს თავის სარჩენათ საკმაო სარჩოს? (ნურაფერს ვიტყვით იმაზედ, რომ მას ანაფერი იქნება მისთვის საჭირო საქონელზე გადასაცემელი).

ღარიბი გლეხის მდგომარეობა ძლიერ მძიმე შეიქმნებოდა უკეთეს მას სახელმწიფო არ გაუწევდა დახმარებას.

სწორედ ამ დახმარების შესახებ ვამბობთ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის შესახებ თარიღით.

ამ დეკრეტის ძალით ყველა სოფლის საბჭოსა და თემის აღმასრულებელ კომიტეტებთან არსდება საზოგადო ურთიერთშორის დახმარებ გლეხთა კომიტეტები.

კომიტეტები თავიანთ მოქმედებას იწყებენ იმით, რომ გაჭირვებულთა დახმარების საქმეს თვით გაჭირვებულთა ხელში გადასცემენ.

მხოლოდ თვით გაჭირვებულთა ორგანიზაციას შეუძლიან უზრუნველყოს იმ ნატურალური და ფულით დახმარების სამართლიანად, სწრაფად და თანაბრად განაწილების საქმე, რომელიც გადაიდება სახელმწიფოსაგან.

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია თვით დახმარება, ანუ გაჭირვებულთა ურთიერთადმი დახმარება—თავიანთი საკუთარის და მასთან ერთად გაერთიანებულ საზოგადოებრივის ძალოვნით.

ამას ვერ გააკეთებს ვერავითარი კანცელარია, ამის გაკეთება შეუძლიან მხოლოდ ცოცხალ ინიციატივას, თვით გაჭირვებულთა გარჯილობას, მათს თვითმოქმედებას, რომელიც მომწყვდოელი არ იქნება კანცელარიის ჩარჩოებში, არამედ დამყარებული იქნება თვით გაჭირვებულთა მეგობრულს და მჭიდრო კავშირზედ.


საერთო ძალოვნით დამუშავება თავისი მიწებისა, მუშაობის დროს ერთმანეთისათვის გაზიარება ხელსაწყო იარაღებისა, საერთო ძალოვნო ხეტყის გამოზიდვა, საერთო ძალოვნით შეკეთება საშოსახლო ქონების, (ცეცხლისაგან დაზიანებული ინვენტარის აღდგენა,—აი, უმთავრესი მოვალეობა გაჭირვებულთა ორგანიზაციისა.

საკმარისი არ არის წითელ არმიელთა ოჯახების უკანონო გადასახადებისაგან დაცვა, საკმარისი არ არის აგრეთვე რომ თანაბრად და სამართლიანად განაწილდეს სახელმწიფოს მიერ გადადებული დახმარება ისე, რომ ყველაზედ სუსტსა და გაჭირვებულს ყველაზედ მეტი წილი ერგოს. ეს ცოტაა.

უნდა განვითარდეს თვითდახმარების საქმე, საერთო ძალოვნად აღდგენილ იქმნეს საკუთარი მეურნეობა, რომ გლეხი წელში გაიმართოს და შესძლოს არა მარტო თავისი თავის გამოკვება, არამედ მოყვანილი მოსავლიდან მიიღოს ზედმეტაც თავისი მეურნეობის გასაფართოებლად და საჭირო ნაწარმოებ-საქონელზე გადასაცემელად.

აი მიზანი საითაც უნდა ისწრაფოდნენ საზოგადო საურთიერთო თვითდახმარების კომიტეტები.

კომიტეტების მოქმედება უნდა იყოს თვით მასის მოქმედება. ამიერიდან კომიტეტები მასისაგან არ უნდა გადაიღობონ კანცელარიის კედლით, არამედ უნდა იმოქმედონ ამ მასსასთან ერთად, მის საშუალებით. ყველა აღძრულ ადგილობრივ საკითხების საქმიანის განხილვითა და გაფაღისწინებით.



სოფლელ კომუნისტების მოვალეობაა დაუ-
ყოვნებლივ გააცნონ სოფლებს დეკრეტი კომიტე-
ტების დაარსების შესახებ, განუშარტონ მათ ამ
კომიტეტების ვალდებულებანი და დახმარება აღ-
მოუჩინონ მათს შედგენაში.

ურთიერთობის დახმარება კლასთა კომიტეტებში

რუს. კომ. საბჭ. 14 მაისის დეკრეტის ცხოვრებაში
გასატარებლად სოფლად უნდა დაარსდეს გლეხთა
ურთიერთობის დახმარებ კომიტეტები. ამის გამო
„ბედნოტაში“ გრანდოვი შემდეგსა სწერს:

ასეთი კომიტეტები უნდა მოეწყოს სოფლის
საბჭოებსა და თემის აღმასრულებელ კომიტეტებ-
თან. ამ კომიტეტების ვალდებულებათა შესახებ
ნათქვამია სახალხო კომისარიატის საბჭოს 14 მაისის
დეკრეტში.

მათი მიზანი ორნაირია:

პირველი ის, რომ გლეხთა და წითელ არმი-
ელთა ღარიბი და განადგურებული მეურნეობა გა-
მოჭლიჯონ სოფლელი ჩარჩების ბრკალეებიდან.

მეორე ის, რომ ყველა გაჭირვებულ მეურნე-
თა დახმარების საქმე თვით გაჭირვებულთავე ხელ-
ში გადასცენ.

დაიხსნან ლატაკი ხალხი და წითელ არმიელ-
თა ოჯახები უფრო მეტად შეძლებულ მიზობელთა
მოწყალებისაგან, ესე იგი აღმოუჩინონ სახელ-
მწიფო დახმარება ღარიბებს. ამისათვის ხებენ-
ბულ დეკრეტის ძალით არსდება საგანგებო ნატუ-
რალური და ფულის ფონდი.

რა თქმა უნდა, პირველ ხანებში ჩვენს გაჭირ-
ვებულ და დაშლილ მდგომარეობაში ეს ფონდი
დიდი არ იქნება.

იგი ძლივს დააკმაყოფილებს იმ საქიროების
მეთედსაც კი, რასაც განიცდიან უცხენო, შრო-
მის უნარ მოკლებულნი და სხვა სუსტი მეურნე
გლეხები.

მიუხედავად ამისა, ამ მცირე რაცხოვან ფონ-
დსაც შეუძლიან არსებითი დახმარება აღმოუჩინოს
ყველა გაჭირვებულთ უკეთეს მას მოხერხებულად,
კონიერად და საბართლიანად მოვიხმაროთ.

რა არის ამისათვის საქირო?

ამისათვის აუცილებლად საქიროა, რომ თვით
გაჭირვებულნი ანაწილებდნენ შემოსულ დახმარე-
ბას.

თუ ეს ასე არ იქნება, თუ ეს საქმე გადაე-
ცემათ სოფლის ან თემის კომიტეტებს, სადაც
ხშირად მონაწილეობას იღებენ ძველი მედუქნეები
და ჩარჩები, მაშინ წინასწარ შეიძლება ვიქონიოთ
შიშა, ყოველგვარი უსწოროებისა და განუსაზ-
ღვრელი კანკალიარულ ვოლოკიტისა.

სწორედ ამის თავიდან ასაკლებლად არსდე-
ბა გლეხთა ურთიერთ შორის დახმარებ კომიტეტე-
ბი.

მაგრამ მათი მოვალეობა მარტო მათშივე
მდგომარეობს.

მათ უნდა მოახდინონ შემოსულ დახმარე- ბის გასამკვეცება და გაათქვამება.

თუ მაგალითად ათს გაჭირვებულ მეურნეს
ესაჭიროება ორი ცხენი, დიდი შეცდომა იქნებო-
და რომ ეს ორი ცხენი მხოლოდ ორი მეურნისა
თვის გადაგვეცა სამუდამო სარგებლობისთვის.

საკითხია აგრედვე შესძლებენ თუ არა ეს
ორნი ცხენების კვებას, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ
ეს ორნი იქნებიან ყველაზე მეტად გაჭირვე-
ბულნი. აუცილებლად საქიროა ამ ორი ცხენის
საერთო სარგებლობისთვის გადაცემა ყველა გა-
ჭირვებულთათვის, რომ ამ სუსტ მეურნეთა საერ-
თო ძალღონით კარგათ იქმნან ეს ცხენები გამო-
ყენებულნი და გამოკვებილნი.

ასევე უნდა მოვექცეთ აგრედვე მკვდარ ინ-
ვენტარს, თესვულს, ფულს და გადადებულ სა-
ზღო-სურსათსაც.

რომელი უფრო უკეთესია: ის რომ თვითფულმა
გლეხმა ცალკე შეაკეთოს თავისი დაზიანებული
ქოხი თუ ყველამ ერთად მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს?

რომელი უფრო უმჯობესია: თვითფულმა წი-
თელ არმიელის ოჯახმა ცალკე დაიცვას თავი
უკანონო გადასახლებისაგან, თუ ეს მათ გააკეთონ
ორგანიზაციულად თავიანთ საზოგადო ურთიერთ
დახმარებ კომიტეტების საშუალებით?

რა უფრო სჯობიან: ყველა გაჭირვებულმა
ოჯახმა ცალკე იბრძოლოს ტყისა და მინდვრის
უწყსრიგო განრიგებისა, მექრთამეობისა, საკანცე-
ლარით ვოლოკიტისა და სხვ. წინააღმდეგ, თუ
ორგანიზაციულად თავიანთ კომიტეტების თანა-
დასწრებითა და თანადამხარებით განახორციელონ
და აწარმოონ ასეთი კონტრალი?

პასუხი თავისთავად ცხადია.

ურთიერთობის დახმარების კომიტეტი არის
საუკეთესო იარაღი ქვეყნის მჭამელთა ხროვების
წინააღმდეგ, იგი საუკეთესო საშუალებაა ყველა
სუსტ მეურნეთა დაქსაქსულ და განადგურებულ
ძაღვების გასაერთიანებლად სიშშილისა და სიღარი-
ბის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქმე კომუნასა და ღარიბკომებში არ არის,
ამის შესახებ არ არის დეკრეტში ლაპარაკი, — ეს არა
აქვს მას მხედველობაში. საქმე იმაშია, რომ გაჭი-
რვებულმა მეურნე გლეხებმა და წითელ არმიელთა
ოჯახებმა თვითონ, უშუაშაველოდ, უმოხელეოდ,
კანცელარიებში ურბენლად, თავიანთი კომიტეტე-
ბის საშროლებით უნდა გაინაწილონ სახელმწიფო
დახმარება და შესალონ ამ დახმარების გაძლიერება
საურთიერთო დახმარების საშუალებით, და მისი
საზოგადო გამოყენება სრულს თვითმოქმედების
საფუძველზე.

რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-10 პარტიკონგრესი

ამხ. ლენინის უკანასკნელი სიტყვა ც. კ. პოლიტიკურ მოღვაწეობის შესახებ.

ლენინი—(ხანგრძლივი ტაშის ცემა). ამხანაგებო, ბუნებრივია მოლოდინი, რომ მოხსენების გამო, რომელიც შეეხებოდა ც. კომიტეტის პოლიტიკურ მოღვაწეობას, კრიტიკაც, დამატებანიც, შესწორებებიც და სხ. მიმართული იქმნებოდა ყველაზე უფრო პოლიტიკურ მუშაობისა და შეცდომებისაკენ, და ნაჩვენები პოლიტიკური ზომები.

სამწუხაროდ, როდესაც ჩააკვირდები აქ გამართულ კამათს, ხელმოკრედ გადაიკითხავ ამ კამათის მთავარ მუხლებს, — არ შეგიძლია მოითმინო და თავის თავს კითხვა არ მისცე: იპიტომ ხომ არ დაასრულა ასე ჩქარა ყრილობამ ეს კამათი, რომ მას განსაცვიფრებელი უშინაარსობა ახასიათებდა. მართლაც და რა მოვისპინეთ ჩვენ ც. კომიტეტის პოლიტიკურ მუშაობის და მომენტის პოლიტიკურ მიზნების შესახებ? მოლაპარაკეთა უმრავლესობა უწოდებდა თავის თავს „მუშურ ოპოზიციას“. არა სახუმრო სახელწოდებაა. ამხ. კოლონტაი აქ უკმაყოფილო დარჩა ჩემი მოხსენებით. თუ ხალხი გამოდის ოპოზიციის სახელით და ნათლავს ამ ოპოზიციას „მუშურად“, და ლაპარაკობს, რომ ცენტრალური კომიტეტი პარტიის პოლიტიკას სწორად არ ხელმძღვანელობდა, ამისთანა ხალხს უნდა ვუთხროთ: საჭიროა მითითებანი ამ შეცდომებზე ძირითად საკითხებში, აგრეთვე იმის თქმაც, თუ როგორ გამოვასწოროთ იგი, სამწუხაროდ, ჩვენ სრულიად არაფერი ვაგვიგონია, არც ერთი ხმა, არც ერთი სიტყვა თანამეუბროვე მომენტზე და მისი გაკეთებლების შესახებ. აქ არც კი მისულან იმ დასკვნამდე, რომელიც მე ვაგვკეთე. ძალიანაც შესაძლებელია, რომ ეს დასკვნა სწორი არ იყოს, მაგრამ ანგარიშს იპიტომ ვადგინე ყრილობაზე, რომ ეს უსწორობანი გამოასწორებულ იქნეს.

პარტიის მთლიანობა, ოპოზიციის დაუშვებლობა პარტიაში — თანამედროვე მომენტის პოლიტიკური დასკვნაა, ხოლო ეკონომიური დასკვნა — არ დავკმაყოფილდეთ იმით, რაც ვაკეთებულა პოლიტიკაში, ვეძიოთ ახალი გზები მუშათა კლასის გლეხობასთან შეთანხმებისათვის, გამოვიყენოთ, გამოვიყენოთ ეს ახალი გზა. მე კანკრეტულად მიუთითე, თუ რაა საჭირო. შესაძლებელია, ეს არ იყოს სწორი, მაგრამ ამაზე არავის სიტყვა არ დაუძრავს. ერთმა ორატორ-თავანძმა, მგონი, რიანა-ნოვმა, მხოლოდ ის მისაყვედურა, რომ ბეგარა გაჩნდა ჩემს სიტყვაში თითქო საიდგანდაც უცბად.

ეს არ არის სიმართლე. მიკვირს მხოლოდ, როგორ შეიძლება პასუხისმგებელი ამხანაგები ასეთი განცხადებით გამოვიდნენ პარტიულ ყრილობაზე. ბეგარის შესახებ დისკუსია გახსნილ იქნა „პრავედა“-ში რაჟოდენიმე კვირის წინედ. აუ მასში მონაწილეობა არ მიიღეს ამხანაგებმა, რომელთაც უყ-

ვართ ოპოზიციით თამაში და საყვედურების წაწლა სროლა, რომ ჩვენ ფართო დისკუსიას საშუალებას არ ვაძლევთ, ამაში თვითონ არიან დამნაშავენი. „პრავედა“-ს რედაქციასთან ჩვენ დავკავშირებულ ვართ არა მარტო იმით, რომ ამხ. ბუხარინი ც. კომიტეტის წევრთა, არამედ იმათაც, რომ უმთავრესი თემებს და პოლიტიკის უმთავრეს ხაზებს ყოველთვის იხილავს ც. კომიტეტი. უამისოდ შეუძლებელია პოლიტიკური მუშაობა. ბეგარის საკითხი ც. კომიტეტის მიერ სადისკუსიოთ იყო დასმული. „პრავედა“-ში წერილები თავსდებოდა, პასუხი კი მათზე არ ყოფილა. ვინც არ გვიპასუხებდა, ამით ისინი გვიჩვენებდნენ, რომ ამ საკითხზე მუშაობა არ სურდათ. და როდესაც ამ წერილების შემდეგ მოსკოვის საბჭოს კრებზე გამოვიდა კრების წევრი, — არ მახსოვს, უპარტიო თუ მენშევიკი, და დაიწყო ლაპარაკი გადსახალზე, მე უთხარი: „თქვენ არ იცით ის, რასაც სწერდა „პრავედა“. ამისთანა საყვედურის თქმა უპარტიოლათვის უფრო ბუნებრივი იყო, ვინემ პარტიის წევრისათვის. „პრავედა“-ში დისკუსია გამართულ იქნა არა შემთხვევით, ყრილობაზედაც ჩვენ მოგვიხდებდა ამ კითხვას ჩაუფიქრდეთ. ორატორებმა კრატიაში გამოიჩინეს სრული უსაქმურობა. საკითხი სადისკუსიოდ იყო დაყენებული და საჭირო იყო მასში მონაწილეობის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ეს კრიტიკა უნიადაგო გამოდგებოდა. ასეა პოლიტიკური საკითხის შესახებაც. მე ვიმეორებ, მთელი ჩემი ყურადღება იპითყენ იყო მიქცეული, რომ უკანასკნელ დროის ამაგებიდან სწორი დასკვნა გამოგვეყვანა.

სანამ უპასუხებდე „მუშურ ოპოზიციის“ აქ გამოსულ ორატორებს, ვიტყვი ორიოდ სიტყვას ოსინსკის შესახებ. გამოვიდა ამხანაგი ც. კომიტეტის ანგარიშის კრიტიკით, ამხანაგი, რომელსაც ცოტა არ დაუწერია და არა ერთხელ გამოსულა საკუთარი პლათფორმით. მოსალოდნელი იყო, რომ იგი მოგვცემდა ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვან კრიტიკას ძირითად დონისძიებათა შესახებ. ამის მაგივრად მან თქვა, რომ ვითომდა „გამოგდეს“ საპრონოვი, და აქედან ცხადია, რომ სიტყვა მთლიანობის აუცილებლობაზე საქმით არ მტკიცებდა, და ხაზს უსვამდა, რომ პრეზიდენტში იორჩიეს ორდ დელეგატი „მუშურ ოპოზიციიდან“. მე ვაკვირებულ ვარ როგორ შეიძლება ამისთანა წერილმანებით, რომელთაც მე-10 ე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, გამოვიდნენ ცნობილი პარტიული ლიტერატორი და მუშაკი, რომელსაც საპასუხისმგებლო ალაგი უკავია. ოსინსკის სპეციფიური თავისებურებაა ყველაფერში პოლიტიკანობა დაინახოს. ამ პოლიტიკანობას ის ხედავს იმაში, რომ ორი ადგილი პრეზიდენტში მიეცა „მუშურ ოპოზიციას“.

არა ერთხელ ვვითქვამს. კერძოთ მეც, — და ამ საგანზე არ იყო უთანხმოება ც. კომიტეტში, — რომ ჩვენი მიზანია ვავარჩიოთ ოპოზიციისაში ჯანსაღი არა ჯანსაღისაგან, სახელდობრ იმითომ, ჯერ კიდევ სექტემბერში, პარტიულ კონფერენცი-

*) იხ. „მომხმე“ № 8.

აზე ჩვენ მიზანს ვხედავდით იმაში, რომ გამოგვიჩინა ჯანსაღი არაჯანსაღისაგან, — ვ ნაიდან შეუძლებელია ამ ჯგუფს ისე მოვეპყროთ, როგორც ჯანსაღ ჯგუფს.

როდესაც გვეუბნებიან დემოკრატიზმის არა საკმაოდ გატარებაზე, ჩვენ ვაცხადებთ: ეს სავსებით მართალია. დიახ, ის გატარებულია ჩვენში არა საკმაოდ. საჭიროა ამ მხრივ დახმარება და იმის ჩვენება, თუ როგორ გადატაროთ. საჭიროა ნამდვილი გატარება და არა ლაპარაკი.

ჩვენ ვიღებთ იმ ადამიანებსაც, რომელნიც თავიანთ-თავს „მუშურ ოპოზიციას“ ეძახიან. ჩვენ ვამბობთ: რადგანაც ეს ავადმყოფობაა, რომელიც ემჩნევა მუშების ნაწილს, საჭიროა მას უფროესი ყურადღება მივაქციოთ, და ის რაც ამხ. ოსინსკის დანაშაულობად მიაჩნდა, საჭიროა, პირიქით დამსახურებად ჩავგვეთვალოს.

ჩნლა ვადავდივარ „მუშურ ოპოზიციასზე.“ თქვენ აღიარეთ, რომ დარჩით ოპოზიციასში. თქვენ პარტიულ ყრილობაზე გამოცხადდით ამხ. კოლონტაის ბროშიურით, რომელზედაც წერია: „მუშური ოპოზიცია.“ თუ რაიმე ჯანსაღი არის ამ ოპოზიციასში, საჭიროა მთელი ძალა მოვიხმაროთ, რომ ჯანსაღი არა ჯანსაღისაგან გამოვყოთ. ჩვენ არ შეგვიძლია სავსებით ვებრძოლოთ ბიუროკრატიზმს და დემოკრატიზმი ბოლოში გადატაროთ, იმიტომ რომ სუსტნი ვართ არა ავაქვს ძალა, და ვინც დავეხმარება ამაში, უნდა ვადმოვიბიროთ, ხოლო ვინც დახმარების სახით ასეთ ბროშიურებს მოგვითმანს, ის უნდა ვამხილოთ.

ამ წინა წარი შენიშვნების შემდეგ, მე მივაქციე თქვენს ყურადღებას ამხ კოლონტაის ბროშიურაზე, რომელიც მართლაც დიხსია თქვენი ყურადღებისა და რომელიც იძლევა ოპოზიციის მიერ რამოდენიმე თვის განმავლობაში წარმოებულ მუშაობის ჯამს. აქ უკვე აღნიშნეს, მგონია ერთმა ამხანაგმა სამაროდან, ის რომ მე „ადმინისტრაციულად“ სინდიკალიზმის „იარღვი“ მივაკარი „მუშურ ოპოზიციას.“ ადმინისტრატორობაზე გახსენება აქ, უთუოდ, უადგილოა, და აქ უნდა შევხედოთ, თუ რომელი საკითხი მოითხოვს ადმინისტრაციულ გადაწყვეტას. მა. მილონოვს უნდოდა ამ სიტყვით თავი მოეწონებია, გამოვიდა კი უხეშად, თითქო მე „ადმინისტრაციულად ვაკრავ „იარღვი“. არა ერთხელ მითქვამს, რომ კრებებზე ამხ. შლიაპნიკოვი და სხვები მისაყვიდურებდნენ, რომ მე ვაშინებ სიტყვით „სინდიკალიზმი“ და რომელიღაც დისკურსიაზე, მგონი სამთომადნო მუშათა ყრილობაზე, ამაზე გახსენების დროს მე უთხარი ამხ. შლიაპნიკოვს; მოზრდილ ადამიანთაგან ვინ ვინდათ მოატყუოთ? მე დაშლიაპნიკოვი ხომ ბევრი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, ჯერ კიდევ ფარულ მუშაობის დროს და ემიგრაციაში, და როგორ შეიძლება განვაცხადოთ, რომ ცალკე ვადახრათა დახასიათებით მე ვილაყას ვაშინებდღ და რა შუაშია აქ ადმინისტრატორობა, როდესაც მე ვლაპარაკობ „მუშურ ოპოზიციის“ დებულეებზე. რომ ასე ვილაპარაკოთ, საჭიროა ეს რამდენიმედ დასა-

ბუთებულ იქნის. მე მზად ვარ მივიღო, რომ ჩემი დასაბუთება სწორი არ არის, ხოლო ამხ. კოლონტაის მტკიცება უფრო სერიოზულია, — მე მზად ვარ ეს ვირწმუნო, მაგრამ საჭიროა თუ გინდ მცირე დასაბუთება და არა სიტყვიბი ადმინისტრატორობაზე, რომელთაც მე თანამდებობის გამო, სამწუხაროდ ვაგშირი მაქვს; არამედ სწორი პასუხი, რომელიც დაარტყვის მუშურ ოპოზიციის წინააღმდეგ ჩემ მიერ წამოყენებულ ბრალდებას მისი სინდიკალიზმისაკენ გადახრის შესახებ.

ეს ბრალდება წამოვაყენე მთელი პარტიის წინაშე, სრული პასუხისმგებლობით, ეს დაბეჭდილია ბროშიურაში. და ყველას წაითხული აქვს ცხადია, ყველა ამხანაგები იმზადებოდნენ ამ ყრილობისათვის. და ყველამ უნდა იცოდის, რომ სინდიკალიზტური გადახრა — ეს არის ანარქიული გადახრა, ის არის წყრილ ბურჟუაზიული, ანარქიული სტიქია. რომ ეს სტიქია იჭრება ფართო მასებში. ხედავთ, და პარტიულ ყრილობაში: ეს გააშუქა. რომ ეს სტიქია ტახტიბა ცხოვრებაში, — ეს დამტკიცებულა ამხ. კოლონტაის ბროშიურებით და ამხ. შლიაპნიკოვის თეზისებით, და აქ არ შეიძლება თავის დახსენება იმით, — როგორც ყოველთვის, — ამხ. შლიაპნიკოვი ლაპარაკობს თავის ჭეშმარიტ პროლეტარულ ხასიათზე. ამხ. კოლონტაია ამგვარად იწყებს თავის ბროშიურას, 1 გვირდზე ვკითხულობთ (კითხულობს): „ოპოზიციასში შეიძის კლასიურად შეკავშირებული პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი, სამთომადნო მუშების ყრილობაზე ციმბირელი დილგვატი აღნიშნადა, რომ მათშიც ისეთი საკითხები იყო წამოყენებული, როგორც მოსკოვში და ამაზე მიუთითებს აგრეთვე ამხ. კოლონტაი თავის ბროშიურაში: „ჩვენში წარმოდგინდა არ ჰქონდათ იმაზე, რომ მოსკოვში ადგილი ჰქონდა უთანხმოებებს და დისკუსიებს პროფ. ვაგშირების როლზე, — ამბობდა ციმბირელი დილგვატი სამთომადნო მუშების ყრილობაზე. — ხოლო ჩვენ უკვე გვალელებდა იგივე საკითხები, რომელნიც დგანან თქვენ წინაშე“. „მუშურ ოპოზიციის უკან დგანან პროლეტარული მასები, ან უფრო სწორად: მუშური ოპოზიცია — ეს კლასიურად შეღულებული, კლასიურად შეგნებული, კლასიურად გამობრძმედილი ნაწილია ჩვენი სამრეწველო, პროლეტარიატისა“.

მადლობა ღმერთს, ამიერიდან გვეცოდინება, რომ ამხ. კოლონტაი და შლიაპნიკოვი — „კლასიურად შეგნებულნი, კლასიურად შედლობიულნი არიან“. (მქუხარე ტაშისცემა) მაგრამ, ამხანაგებო, როდესაც ასე ლაპარაკობ და სწერ, საჭიროა რამოდენიმედ მაინც დაგიცვათ ზომიერება.

ამ ბროშიურის 25 გვ. ამხ. კოლონტაია სწერს: „სახალხო მეორეობის მმართველობის ორგანიზაცია ეკუთვნის წარმოებაში მომუშავეთა სრ. რუსეთის ყრილობას, გაერთიანებულთ პროლეტარიატს და საწარმოო ვაგშირებში, რომელნიც ირჩევენ მთელ სახალხო მეურნეობის მმართველ ცენტრალურ „ორგანოს“. ეს არის თეზისების ერთი მთავარი მუხლთაგანი. ესაა — თეზისი „მუშურ



ობოზიცისა“, სწორედ ის თეზისია, რომელიც მოამყავდა დისკუსიების ყველა შემთხვევაში და პრესაში. და უნდა ვითხრათ, რომ ამ თეზისის წა. კითხვის შემდეგ სხვები არ წავიკითხე. რადგან ეს იქნებოდა დროს უბრალო დაკარგვა, ვინაიდან ამ თეზისების შემდეგ ცხადია, რომ ხალხი უკვე გამოტყდა, რომ ეს არის წვრილ-ბურჟუაზიული, ანარქიული სტიქია. მე უთითებდი კომ. ინტერნაციონალის მე-2 ყრილობის მიერ ზაფხულში მიღებულ რეზოლიუციაზე კომუნისტურ პარტიის როლის შესახებ. ეს არის კომუნისტ მუშების მთელი ქვეყნის კომუნისტურ პარტიებში გამაერთიანებელი რეზოლიუცია. განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს პარტიას ვანცალკევებთ მთელი მუშათა კლასისაგან, რომელიც გადაჭრით ანხორციელებს დიქტატურას? ასე ფიქრობენ რამოდენიმე შემარცხენე და ძალიან ბევრი სინდიკალისტები და ენლა ეს შეხედულება გავრცელებულია ყველგან და სწორედ ეს შეხედულება არის წარმოშობილი წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნიადაგზე. ეს თეზისება ხომ უარყოფენ კომ. ინტერნაციონალს მეორე ყრილობის გადაწყვეტილებას კომუნისტური პარტიის როლისა და პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების შესახებ. სწორედ ეს არის სინდიკალიზმი, რადგან თქვენ წარმოიდგინეთ გარკვევით, რომ ჩვენი პროლეტარიატი თავის უმრავლეს ნაწილში დეკლასიური გახდა; გაუგონარმა კრიზისებმა, ქარხნების დაკეტვამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ხალხი სიმშლს გაეცა, მუშები ქარხნებს სტოვებდნენ, იძულებული ხდებოდნენ სოფელში მოწყობილიყვნენ და ისინი უკვე აღარ იყვნენ მუშები. განა ჩვენ არ ვიცით და არ ვხედავთ, რომ გაუგონარმა კრიზისებმა, სამოქალაქო ომმა, ქალაქსა და სოფელს შორის წესიერი ურთიერთობის შეწყვეტამ, პურის მოზიდვის შეჩერებამ შექნეს პირობები, როდესაც წარმოებდა გაცვლა დიდ ქარხნებში დამზადებულ წვრილ პროდუქტებისა, რალაც ასანთისა პურზე, როდესაც მუშები სიმშობილობდნენ და პური არსაიდან შემოდოდა.

განა ამას არ ვხედავდით უკრაინაში? არ ვხედავდით რუსეთში? ეს ყველაფერი არის ის, რაც ეკონომიურად წარმოშობს პროლეტარიატის დეკლასიურობას; რაც აუცილებლად ამას იწვევს, აქ აშკარავდება ბურჟუაზიულ ანარქიული ტენდენცია.

(შემდეგი იქნება).

კვირიდან კვირამდე.

საბჭოთა საქართველოში.

საბჭოთა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა პირველი კონფერენცია.

შესდგა კვირას 12 ივნისს. სახელმწიფო საკანცლარო თეატრის დარბაზში—ნაშუადღევს 3 საათზე. კონფერენცია გახსნა პროფკავშირების მდივანმა აშხ. გ. ყურულაშვილმა.

წარმოდგენილ დელეგატების რიცხვი აღემატება 207-ს ამათ შორის კომუნისტი 167, დანარჩენები მენშევიკი, ფედერალისტი და უპარტიო.

დელეგატების შეკრებულად ყურება შექმნილ პირობებზე, მათი მომწიფებულობა საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

კომპარტიის ტბილისის ორგანიზაციათა კონფერენცია. საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციების კონფერენცია, რომელიც ივნისის 5-ს გაიხსნა სახელმწიფო დრამის სამუსიკო დარბაზში უკვე დასრულდა 10 ივნისს. წაკითხულ მოხსენებათა გამო მიღებულ იქნა რეზოლიუციები.

საქონლის გაცვლა ევროპასთან.

ენეშტორგის ბათომის განყოფილებამ ხელშეკრულება დასდო იტალიის ერთ-ერთ დიდ ფირმასთან, რომლის ძალითაც ხსენებულმა ფირმამ საქართველოში უნდა შემოიტანოს ფქვილი, შაქარი და ასანთბ, რომელიც გადაცვლილი იქნება ნავთზე.

საქონელი ევროპიდან

ამ დღეებში ბათომის ნავთსადგურში მოვიდა გემი, რომელმაც საქართველოსათვის მოიტანა დიდიძალი მანუფაქტურა, ტელეფონის აპარატები, ძედიკამენტები და სხვა საქონელი, რომელიც შეადგენს 1,000,000 ოსმალური ლირის ღირებულებას.

ნავთი ევროპისათვის

მაისის 20-ს სტამბოლიდან ბათომში მოვიდა გემი „კოლონია“ რომელიც მუდმივად ივლის ბათომ-კონსტანტინოპოლს შორის ნავთის გადასაზიდად. გემმა მოიტანა საქონელი ნავთზე გადასაცვლელად.

ქართველი ოფიცრები

გემმა „კოლონია“-მ ბათომში მოიყვანა ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცნი, რომლებიც



მენშევიკების მთავრობასთან ერთად საქართველო-დან სტამბოლს იყენენ წასულნი წითელი ლაშქრის შემოსვლის დროს.

რკინისგზის ახალი ლიანდაგი.

ამიერ-კავკასიის სატყეო განყოფილებას ნება მიეცა გაიყვანოს სადგურ კარდანახსა და ალაზანს გაღმა მდებარე „ეორონკოვკას“ შუა ახალი რკინის გზის ლიანდაგი. ეს შტო მიუახლოვდება ლაგოდებს, რომლის საშუალებითაც გადავიდებოდა სარკინისგზო დამოკიდებულება საინგილოს და ზაქათალის ოლქთანაც.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საერთო-შორისო დამოკიდებულება.

მოხდა შეთანხმება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთ-დამოკიდებულების ნიადგზე. მიმდინარე თვეში შესდგება ხსენებულ რესპუბლიკათა წარმომადგენლების ყრილობა, რომელიც გამოიმუშავებს განსაზღვრულ და დაწვრილებითი ხელშეკრულებას ამ რესპუბლიკათა ურთიერთ-შორის დამოკიდებულების შესახებ.

ამავე ყრილობაზე განაწილებული იქნება შეძენილი საქონელი თანახმად საქონლის რაოდენობისა დათვითეულ რესპუბლიკის საჭიროებისდა მიხედვით. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის არ იწარმოებს საქონლის გაცვლა-გამოცვლა, არამედ თანაბრად განაწილდება ის საქონელი რომელიც შეძენილ იქნება უცხო ბურჟუაზიულ ქვეყნების ბაზარზე.

საბჭოთა სომხეთში.

სამეურნეო იარაღები

მოსკოვმა საბჭოთა სომხეთს გამოუგზავნა სხვა და სხვა სამეურნეო იარაღები — მათ შორის: 170 გუთანაი, 100 სეპარატორი, 10,000 ცელი, 10,000 ნამჭალი და სხვ.

აფთიაქების ნაციონალიზაცია.

საბჭოთა სომხეთის რევოლიუციონურმა კომიტეტმა გამოცხადებულა დეკრეტი, რომლის ძალითაც გამოცხადებულია ნაციონალიზაცია ყველა აფთიაქებისა, საავადმყოფოებისა, მთელის მედიკამენტებითა და სხვა სამედიცინო მოწყობილებით, რომლებიც აღწერილია და გადადის ჯანმრთელობის კომისარიატის გამგებლობაში. ამავე კომისარიატის განკარგულებაში გადადის აგრედვე მთელი სამედიცინო პერსონალი.

საბჭოთა აზერბაიჯანში

გლეხთა საჩუქარი მუშებს.

თაუზში შემდგარ სამაზრო საბჭოთა წარმომადგენლების ყრილობაზე, რომელმაც მოისმინა მოხსენება განაწერისა და სასურსათო გადასახალის გაუქმების გამო, წარმომადგენლებმა დაადგინეს მთელს მაზრაში შეკრიბონ და აზერბეიჯანის გლეხობის განმანთავისუფლებელ ბაქოს მუშებს საჩუქრად გაუგზავნონ ორმოცდა ათი სული მსხვილი საკლავი საქონელი. თაუზის გლეხთა წარმომადგენელთ გადასწყვიტეს მოსავლის მოკრეფის და შემდეგ გაუგზავნონ ბაქოს მუშებს აგრეთვე პური სხვა სურსათი.

საბჭოთა რუსეთში

საბჭოთა ელჩების კონფერენცია

ამ მოკლე ხანში მოსკოვიდან ბერლინში მიემგზავრება კრასინი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა ელჩების კონფერენციაში. ხსენებულ კონფერენცია განზრახულია ბერლინში. საბჭოთა დიპლომატების ყრილობის მიზანია დაამყარონ ევროპის სახელმწიფოებში გამოსვლებისა და მოქმედების მთლიანობა.

იაპონია და ვრანგელი

მოსკოვში მიღებულ შემოწმებულ ცნობების თანახმად იაპონიას დიდი სურვილი აღძვრია ვრანგელთან დაახლოვებისა. ამ მიზნით სტამბოლში მყოფმა იაპონიის სამხედრო წარმომადგენელმა საუზმე გაუმართა ვრანგელს, პარიზში იაპონიის სამხედრო წარმომადგენელმა ვრანგელის ოფიცრებს სადილი გაუმართა, სადაც განაცხადა, რომ იაპონია დიდის ხალისით დაეხმარება ვრანგელს ბოლშევიკებთან ბრძოლაში და რომ მას განზრახვა აქვს აღძრას საკითხი ვრანგელის არმიის დარჩენილ ნაწილთა შორეულ აღმოსავლეთში — სემიონოვის დასახმარებლად გაგზავნის შესახებ.

ქვანახშირი ევროპიდან.

მოსკოვში ამერიკიდან მიღებულ ცნობით, მაისის ბოლო რიცხვებში ნიუ-იორკიდან მოსკოვს გამოიგზავნა ორი გემი, რომელიც დატვირთულია 6,000 ტონა ქვა-ნახშირით.

უარი ნაციონალიზაციაზე.

ხარკოვის სამეურნეო საბჭომ საჭიროდ დაინახა დროებით უარი განაცხადოს წვრილ წარმოებათა ნაციონალიზაციაზე.



საზღვარ-გარეთ

ჩხეიძე და რამიშვილი.

რიგის გაზეთების ცნობის თანახმად ივნისის პირველ რიცხვებში პარიზიდან რიგაში ჩავლენ კ. ჩხეიძე და ნ. რამიშვილი, რომელნიც იგზავნებიან საქ. სოც. დემოკრ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით. ხსენებულ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს დელეგაციები დაგზავნოს ყველა ქვეყნებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასარგებლოდ ავითაცის გასაწევად.

ანტანტის ახალი გეგმები.

ნაუენის რადიო იუწყება, რომ მალტის ნავთსადგურებში იკრიბება ინგლისის ფლოტი, რადგან

მოკავშირენი ბერძნების დასახმარებლად ახლომხედრეთაში სამხედრო მოქმედების დაწყებას აპირებენ.

ინგლისელთა ევაკუაცია.

ინგლისური ოფიციალური რადიოს ცნობით ჩრდილო დასავლეთ სპარსეთიდან ინგლისელთა ევაკუაცია დამთავრდა.

ინდოეთი და ინგლისი.

ინგლისურ გაზეთ „დელი ტელეგრაფის“ სიტყვით ინდოეთის საზღვრებზე უწყსოება ჰხდება. ინდოეთის ნაციონალისტების მეთაურმა ბაზირისტანის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ინგლისელები გამოდევნა ამ ადგილებიდან. ბაზირისტანში ინდოეთის ნაციონალისტებმა ინგლისის ფორშალორად ომი გამოუცხადეს.

სარედაქციო კოლეგია.





შინაარსი

გვ-VIII-ე №-ში მოთავსებულ გასაღებისა

- 1) დადგენილება ს. ს. ს. რ. კომიტეტისა № 19
თამასუქებისა და უდავო ვალა
დებულებათა (განაღების შე-
სახებ.
- 2) ბრძანება ს. ს. ს. რ. კომიტეტისა № 55 ბეი-
თალ ექიმთა და ფერშალთა
რეგისტრაციის შესახებ.
- 3) „ „ № 56 ამხ. ტოროშელიძის ფი-
ნანსთა კომისარის მოადგილეთ
დანიშვნის შესახებ.
- 4) ბრძანებანი და ინსტრუქცია შინაგან საქმეთ-
სახ. კომისარიატისა გვ. 2—5.
- 5) დადგენილება მოსარაგების სახალხო კომისარია-
ტისა გვ. 5—6.

არაოფიციალური განყოფილება

- 6) მეთაური გვ. 7—8.
- 7) სასურსათო გადასახადის შესახებ გვ. 8—10.
- 8) სათბობის სამკვირეული და თესვის კომისიები.
გვ. 10—11.
- 9) სასურსათო გადასახადი და საქონლის გატ-
ვლა გვ. 12—13.
- 10) მილიციის მილიტარიზაცია გვ. 13—15.
- 11) რუსეთის კომუნისტ. პარტიის მე-10 ყრილობა.
გვ. 15—17.
- 12) კვირიდან კვირამდე. გვ. 17—19.

